



# შირაკი

## SHIRAKI

www.open.ge

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (9.632)

24-31 მაისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა



## არჩევნები - 2014

წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შედის, უკვე ცნობილია პოლიტიკური სუბიექტების პარტიული სიები. „შირაქმა“ პროპორციულ სიებს თვალის გადავლო და დაინტერესდა, თუ ვის გაუჩნდა დედოფლისწყაროს საკრებულოში მოხვედრის სურვილი.

კოალიცია „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის მიერ შედგენილ 30 კაციან პარტიულ სიაში შვიდი ქალი კანდიდატია რეგისტრირებული, ხოლო ნაციონალური მოძრაობის 20 კაციან სიაში - ექვსი. არცერთი ქალი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი არ დაუსახელებია მმართველ კოალიციას დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ სოფლებში დასახელებულ მაჟორიტარ კანდიდატთა შორის სამი მანდილოსანია წარდგენილი.

ბანკის მმართველი, ექიმი, პედაგოგი, მძღოლი, ზეინკალი,

ფოსტის კურიერი, ინჟინერ-ელექტრიკოსი - ეს იმ პროფესიების მცირე ჩამონათვალია, რომელთა წარმომადგენლებიც „ქართული ოცნების“ პარტიული სიით დედოფლისწყაროს საკრებულოში მოხვედრას შეეცდებიან.

უფრო კონკრეტულად: მმართველი გუნდის დედოფლისწყაროელთა სიაში მოხვედრის ბანკ „კონსტანტას“ დედოფლისწყაროს ფილიალის მმართველი გიორგი ბუჭაშვილი, სიაში ფიქსირდება პედაგოგი ბიცი, მათ შორის დედოფლისწყაროს №1 საბავშვო ბაღის დირექტორი ქეთევან დოლოძე და ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი დავით ნიკოლაური. „ოცნების“ 30 კაციან სიაში უმუშევარია 7 მათგანი, ხოლო „ნაციონალებში“ 20-დან 14 კანდიდატია უმუშევარი.

„ოცნების“ სიას სათავეში ზუგარ პაპიაშვილი უდგას, პარტიული

(გაგრძელება გვ.)

## კასრისწყლის სკოლა დედოფლისწყაროს გადაეცა

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყლის საჯარო სკოლა დედოფლისწყაროს დაქვემდებარებაში გადავიდა. მასზე კონტროლს დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი განახორციელებს. დეტალებს გარკვევა „შირაქმა“ ორივე მუნიციპალიტეტის რესურსცენტრში სცადა. როგორც ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მანანა ნადიბაიძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სამინისტროში მოთხოვნა რესურსცენტრიდან გაიგზავნა. მიზეზად კი იმ გარემოებას ასახელებს, რომ სკოლა რაიონულ ცენტრს 200 კილომეტრით მონწყვეტილია და მისი კონტროლი ძირითადი.

„მოგეხსენებათ, ეს სოფელი დედოფლისწყაროში მდებარეობს და ახმეტის შემადგენლობაში შედის. ჩვენთვის ძალიან რთული იყო, ამ მანძილზე კონტროლი განგვეხორციელებინა. სკოლა ცოცხალი ორგანიზმია, ჩვენ კი ადგილზე ჩასვლას ვერ ვახერხებდით. მხოლოდ სატელეფონო კონტაქტი გვქონდა, რაც სრული კონტროლისთვის საკმარისი არ იყო. იქვე ახლოსაა დედოფლისწყაროს რესურსცენტრი და ამიერიდან მათზე კონტროლს დედოფლისწყარო უზრუნველყოფს. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ადგილობრივი მოსახლეობისა და სკოლის პედაგოგებისთვისაც მისაღებია უნდა იყოს, რადგან კომუნიკაცია ბევრად გაუმარტივდება. მოთხოვნა რესურსცენტრიდან გავგზავნეთ და სამინისტრომ დააკმაყოფილა.“ - აცხადებს ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მანანა ნადიბაიძე.

ცვლილება ძალაში მიმდინარე წლის 20 მაისიდან შევიდა. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში აცხადებენ, რომ სოფლის მესხეთის მინისტრი შალვა ფიფია და კახეთის გუბერნატორი ირაკლი შილაშვილი შირაქის ველებზე იმყოფებოდნენ და ხორბლის ნათესებში აღმოჩენილი ბუგრის სანინალმდეგო ნაშთების პროცესს დაესწრნენ. მოგვიანებით, სამინისტრომ დედოფლისწყაროს საჩუქრად გადასცა 3 500 ლიტრამდე ფართო მოხმარების ინსექტიციდი „ალპაკი“, რომლითაც 23 000 ჰა მიწის ნაკვეთი დამუშავდა. პრეპარატი ყველა სოფლის მოსახლეობაზე განაწილდა და უფასოდ გაიცა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ მხერის შემოსევის პრობლემა სოფელ კასრისწყლის მოსახლეობასაც აწუხებდა, თუმცა ელდარში ამ სიკეთით მხოლოდ იმ მიზეზით ვერ ისარგებლეს, რომ

ნათლებლო რესურსცენტრში აცხადებენ, რომ ამჟამად გადმოცემის პროცესი და დოკუმენტაციის მონესრიგება გრძელდება.

„ეს ჩვენთვის დამატებითი პასუხისმგებლობაა, კიდევ ერთი სკოლა დაემატა დედოფლისწყაროს. ამჟამად იქ არსებულ ვითარებას ვსწავლობთ.“ - აღნიშნეს რესურსცენტრში.

კასრისწყლის საჯარო სკოლის პედაგოგები ჩვენთან საუბარში გადაწყვეტილებას მიესალმებიან და აცხადებენ, რომ ეს გარემოება უამრავ დაბრკოლებას ქმნიდა, ახლა კი სამუშაო პროცესი ბევრად გამარტივდება.

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ სოფელში მცხოვრებთა უმრავლესობა სკოლის დედოფლისწყაროსთვის გადაცემას მიესალმება, უფრო მეტიც, კასრისწყელთა დიდი ნაწილი სოფლის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში დაბრუნების მომხრეა.

ამასწინათ, სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია და კახეთის გუბერნატორი ირაკლი შილაშვილი შირაქის ველებზე იმყოფებოდნენ და ხორბლის ნათესებში აღმოჩენილი ბუგრის სანინალმდეგო ნაშთების პროცესს დაესწრნენ. მოგვიანებით, სამინისტრომ დედოფლისწყაროს საჩუქრად გადასცა 3 500 ლიტრამდე ფართო მოხმარების ინსექტიციდი „ალპაკი“, რომლითაც 23 000 ჰა მიწის ნაკვეთი დამუშავდა. პრეპარატი ყველა სოფლის მოსახლეობაზე განაწილდა და უფასოდ გაიცა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ მხერის შემოსევის პრობლემა სოფელ კასრისწყლის მოსახლეობასაც აწუხებდა, თუმცა ელდარში ამ სიკეთით მხოლოდ იმ მიზეზით ვერ ისარგებლეს, რომ

ბლეს, რომ კასრისწყალი დედოფლისწყაროს შემადგენლობაში აღარ შედის, შესაბამისად დედოფლისწყაროს გამგეობა მათზე ალპაკის გაცემას ვერ უზრუნველყოფდა.

„ჩვენი სოფლის რწმუნებული არაფერში არ აქტიურობს, მუდმივად ამბობს, მე არ ვერვით. ძირითადად ნეიტრალური პოზიცია უჭირავს. ადგილობრივებისთვის თავს არ იწუხებს, არც ახმეტაში გამგეობის თათბირებზე არ ცხადდება, სოფლის ცხოვრება კი თვითდინებით მიდის. მარცვლული კულტურების ნათესებში ბუგრის პრობლემაც მოსახლეობის თავმისაცემი გახდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ იცოდა, თუმცა ყურადღება არავის გამოუხატავს და ყველა აღნიშნავს, რომ დედოფლისწყაროს შემადგენლობაში რომ ვყოფილიყავით ჩვენი ნაკვეთებიც შეინამლებოდა და ასე უყურადღებოდ არ ვიქნებოდით ყველასგან მიტოვებული. სოფლის მაცხოვრებლების უმრავლესობა სკოლის დედოფლისწყაროს დაქვემდებარებაში გადასვლას მიესალმება, რომ გამოიკითხოთ, ნახავთ, რომ კასრისწყალში მცხოვრებთა 70%-ზე მეტი სოფლის დედოფლისწყაროში მიერთებას ითხოვს. წარმოიდგინეთ, რამხელა დაბრკოლებას ვაწყდებით, როცა ადგილობრივი თვითმმართველობა არაფრად გვაგდებს და მხოლოდ წინასაარჩევნოდ გვცტუმრობენ. ადამიანს რაიმე დოკუმენტი რომ

დასჭირდეს, გამგეობაში, ან საჯარო რესურსცენტრში, ამისათვის 300 კილომეტრი უნდა გაიაროს და ახმეტაში ჩავიდეს, რომ საბუთები მოაგროვოს. სანავის სიძვრის გამო ბევრს მგზავრობაც უჭირს და ესეც რომ არ იყოს, მანძილის სიშორის გამო ერთ დღეში საქმის მოსწრება ძირითადი არ აქვს, ასე ვართ განამბეზურები. ამოვისუნთქებდით და უამრავ პრობლემას გადავჭრიდით, დედოფლისწყაროს რომ ვეკუთვნიოდით, რა იქნება ვინმეს ჩვენი ხმა ესმოდა და გაითვალისწინოს. ამ მოთხოვნით, რომ სოფელი კვლავაც დედოფლისწყაროს დაექვემდებაროს, უამრავ სახელმწიფო სტრუქტურას გავუზავნეთ ოფიციალური წერილი, მათ შორის პრემიერ ირაკლი ლარიაშვილს. დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გასაჭირთაც დაინტერესდებიან და მოგვხელსავენ, ძალიან დავილალოთ.“ - აცხადებენ სოფელ კასრისწყალში

ილია მარტყოფლიშვილი



**„სადავან სახალაფიფო მხარდაჭერას და ისინის უზუპკრაპივით აფუსუსდნან...“**

**მვ. 4**

**ე უ რ ა დ ლ ე ბ ა !**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართის პოლიტიკური რეკლამისათვის. 15 ივნისამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად განაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

**პროკაპუირთა ანოცირაპის ხელაპრულაა და პრესაპტივუპი პპროპის ბაზარა**

**მვ. 4**

**პროპატიონერი დაანაქმანს**

დედოფლისწყაროში, ქუთაისში, თელავსა და ბოლნისში პროპატივის ეროვნული სააგენტოს დახმარებით, პირობით მსჯავრდებულები და განრიდებული დასაქმდნენ.

პროპატივის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კახეთის პროპატივის ბიუროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, გურჯაანსა და დედოფლისწყაროში არსებულ კერძო ფერმერულ მეურნეობებში დასაქმდნენ პროპატიონერები გ.ტ. და გ.ა., რომელთა ხელფასი 300 ლარი იქნება. როგორც პროპატივის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, მათი ხელშეწყობით, 2014 წელს უკვე 45 პირობით მსჯავრდებული დასაქმდა.

# სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დიმიტრი დარბაისელი თანამდებობიდან გადადგა. გადადგომის მიზეზებთან დაკავშირებით მან განაცხადა: „მე ძალიან მძიმე პერიოდში მომიხია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ მუშაობა და სამაჟი არ არის, რომ ეს უმძიმესი სფეროა. პატიმრებთან მუშაობა და ურთიერთობა განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს თანამშრომლებისაგან, მით უმეტეს, როცა დღეს აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომები საჭირო. დეპარტამენტი, მისი თანამშრომლები ნამდვილად ყველაფერს აკეთებენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიუახლოვდეთ სასურველ სტანდარტებს. სწორედ ამიტომ, მე როგორც მენეჯერმა, საჭიროდ ჩავთვალე და თავად მივიღე გადაწყვეტილება თანამშრომლებთან პრემიების გაცემის შესახებ, რათა მათ კიდევ მეტი მოტივაცია ჰქონოდათ. მათ 24-საათიან რეჟიმში, უმძიმეს პირობებში უნებდათ მუშაობა ყველაზე რთულ, გარდამავალ პერიოდში. ისინი ფაქტურად ვერ ნახულობენ საკუთარ ოჯახებს და სამსახურში უნებდათ მუშაობის თენება. სწორედ ასეთი მუშაობის შედეგია, რომ მათ რეალურად შეეძლოთ ის ნეგატიური ტენდენციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასჯელაღსრულების სისტემაში ჩემს დანიშნვამდე. ჩემმა გადაწყვეტილებამ გააჩინა კითხვები და გამოიწვია უკმაყოფილება. კარგად მესმის, რომ საზოგადოებისთვის შეუძლებელია ახსნა, თუ რა მასშტაბის და სიმძიმის სამუშაო იყო გასანევი. მე ბოლომდე ერთგულად ვემსახურე ჩემს საქმეს და ჩემს ქვეყანას. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე უნდა დავტოვო დაკავებული თანამდებობა. მე ვრჩები ერთგული ჩემი ქვეყნის და ჩემი საქმის. აქვე მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ სრული აბსურდი ყველა ის ბრალდება, რომელიც გაისმა ჩემი და ჩემი თანამშრომლების მიმართ.“

„მე ძალიან მძიმე პერიოდში მომიხია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ მუშაობა და სამაჟი არ არის, რომ ეს უმძიმესი სფეროა. პატიმრებთან მუშაობა და ურთიერთობა განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს თანამშრომლებისაგან, მით უმეტეს, როცა დღეს აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომები საჭირო. დეპარტამენტი, მისი თანამშრომლები ნამდვილად ყველაფერს აკეთებენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიუახლოვდეთ სასურველ სტანდარტებს. სწორედ ამიტომ, მე როგორც მენეჯერმა, საჭიროდ ჩავთვალე და თავად მივიღე გადაწყვეტილება თანამშრომლებთან პრემიების გაცემის შესახებ, რათა მათ კიდევ მეტი მოტივაცია ჰქონოდათ. მათ 24-საათიან რეჟიმში, უმძიმეს პირობებში უნებდათ მუშაობა ყველაზე რთულ, გარდამავალ პერიოდში. ისინი ფაქტურად ვერ ნახულობენ საკუთარ ოჯახებს და სამსახურში უნებდათ მუშაობის თენება. სწორედ ასეთი მუშაობის შედეგია, რომ მათ რეალურად შეეძლოთ ის ნეგატიური ტენდენციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასჯელაღსრულების სისტემაში ჩემს დანიშნვამდე. ჩემმა გადაწყვეტილებამ გააჩინა კითხვები და გამოიწვია უკმაყოფილება. კარგად მესმის, რომ საზოგადოებისთვის შეუძლებელია ახსნა, თუ რა მასშტაბის და სიმძიმის სამუშაო იყო გასანევი. მე ბოლომდე ერთგულად ვემსახურე ჩემს საქმეს და ჩემს ქვეყანას. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე უნდა დავტოვო დაკავებული თანამდებობა. მე ვრჩები ერთგული ჩემი ქვეყნის და ჩემი საქმის. აქვე მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ სრული აბსურდი ყველა ის ბრალდება, რომელიც გაისმა ჩემი და ჩემი თანამშრომლების მიმართ.“

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი საზაფხულო სეზონს სიმბოლურად 31 მაისს „საოცრებათა პარკში“ გახსნის. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ცნობით, ბათუმში ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნა ზღვაზე დასვენებასთან დაკავშირებული სპორტული და გასართობი ღონისძიებებით იქნება გამორჩეული. საოცრებათა პარკის მიმდებარე სანაპიროზე მოწყობა ფრენბურთის მოედანი, მაგიდის ჩოგბურთი, ტანმოვარჯიშების მოედანი, ქუჩის კალათბურთისა და ხელბურთის სივრცეები. სანაპიროზე გაიშლება შეზღონგები, ზღვაში კი მოეწყობა ბილიკები მოცურავეთათვის და წყალბურთის მოედანი. ზღვისპირა პერიმეტრზე განთავსდება სხვადასხვა საზღვაო ალტურულიობა: სკუტერები, ნავეები, კაიაკი, იახტა. სამაშველო სამსახურის სიმბოლურად ჩაატარებს მცირე სწავლებებს დამსვენებლების უსაფრთხოების წესების შესახებ. მსურველებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო აქტივობებში. გასართობი სპორტული ღონისძიებები ჩატარდება მუსიკალური გაფორმების თანხლებით, რომელსაც შეასრულებს ცოცხალი ბენდი. დღის მანძილზე თამაშის მონაწილეებს მუსიკით გაამხნევენ ასევე მონვეული დიჯეი, რომელიც დამსწრეთათვის სადღესასწაულო განწყობას შექმნის, შესრულდება კუბური მუსიკალური ნომრებიც. მოედანზე მოწყობილ ფოტო სტენდებთან შესაძლებელი იქნება გადაღება ცოცხალ მიმებთან, ბოდიარტით სარგებლობა - სხაულისა და სახის მოხატვა. საღამოს 21 საათზე გაიმართება უფასო კონცერტი დათო ხუჯაძისა და გუფი ლენდის მონაწილეობით. 23 საათზე ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნა ფანტანებთან ფოიერვერკით დასრულდება. სეზონის ოფიციალური გახსნა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ადგილებში ერთდროულად აღინიშნება.

# 31 მაისს ზაფხულის ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნება



საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატისა და ისრაელის სახლის ორგანიზებით, თბილისში გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშპ) საკითხებზე მომუშავე ქართველი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოში ვიზიტით მყოფი, ისრაელში მოქმედი შშპ პირთა არასამთავრობო ორგანიზაცია „სოცე გეოლოჯის“ M12-კაციანი დელეგაციის შეხვედრა, რომელსაც, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაკები-მზრუნველობისა და სოციალური დეპარტამენტის უფროსი მარი ნერეთელი და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა. როგორც შეხვედრის ორგანიზატორმა, საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტმა და ისრაელის სახლის დამფუძნებელმა, იცე მოშე განაცხადა, საქართველოში ისრაელიდან შეზღუდული შესაძლებლობების პირების ტურისტის რანგში ჩამოსვლა საქართველოს ტურიზმის რეკლამირების საქმეში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატამ 2014 წელი ტურიზმის ინდუსტრიის ხელმძღვანელების წლად გამოაცხადა და ყველაფერს აკეთებს, რომ ქართულ მხარეს გააცნოს ის მიღწევები, რაც ისრაელს აქვს ამ სფეროში, მათ შორის შშპ პირთა ტურიზმის მიმართულებით. საბოლოო ჯამში კი, ეს და ბიზნეს პალატის განხორციელებული სხვა პროექტები ემსახურება ერთ მიზანს – ებრაელი და ქართველი ხალხების ურთიერთობა გააძლიერდეს ორი ქვეყნის წარმატებულ ურთიერთობად. შეხვედრაზე ისრაელელ სტუმრებს მიესალმა საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა. მან ისრაელელ სტუმრებს მადლობა გადაუხადა საქართველოში დაინტერესებისა და ტურისტული ზონების მონახულებისთვის. „საქართველო მსოფლიოში ყველაზე პროისრაელური ქვეყანაა და ამ შესხვედრაზეც დიდი სიხარულით მოვედი. მადლობას გიხდით, რომ დაინტერესდით ჩვენი ქვეყნით, იმგზავრეთ არც თუ ისე იოლად მისასვლელ ადგილებში. მზად ვართ, მოვიმსახუროთ თქვენი რჩევები, რა გავაუმჯობესოთ, რათა კიდევ უფრო კომფორტული გავხადოთ შშპ პირებისთვის საქართველოს ტურისტული ზონებში მოგზაურობა“, – განაცხადა გიორგი სიგუამ. ისრაელის დელეგაციის ხელმძღვანელმა ორენ შაიბიმ საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზეზებზე ისაუბრა. მისი თქმით, ისრაელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სერვისის განვითარებას და მათი სურვილია, ქართული მხარისთვის ამ გამოცდილების გაზიარება. „ჩამოვივლით ქვეყანაში, სადაც სტუმართმოყვარეობა ყველაზე მაღალ დონეზეა. დავინახეთ, რომ აქ ხალხს უყვარს დახმარება, ძალიან დადებითი განწყობაა შშპ პირებისადმი. არ არის ბევრი ასეთი ქვეყანა, სადაც ასეთი ადამიანებს ასე თბილად ხედეხან. ჩვენი მხრივ მზად ვართ ქართულ არასამთავრობოებთან და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობისთვის“, – განაცხადა შშპ პირთა არასამთავრობო ორგანიზაციის „სოცე გეოლოჯის“ ხელმძღვანელმა ორენ შაიბიმ. შეხვედრის მონაწილე ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ებრაელ სტუმრებს შშპ პირთა ნინამე არსებული სხვადასხვა სახის პრობლემის გადაჭრაში კონსულტაციები, მეთოდოლოგიური და სამედიცინო დახმარება, და სარტოდ, ისრაელის გამოცდილების გაზიარება სთხოვეს. ორენ შაიბის თქმით, მისი ორგანიზაცია მზად არის, ქართულ მხარეს არა მარტო კონსულტაციები გაუწიოს, არამედ ისრაელის ბავშვთა სახლებში მიიღოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები, ხოლო ისრაელში ცნობილ ერთ-ერთ სამედიცინო დანესტრუქციებში – ლევიმტინის საავადმყოფოში ქართველმა შშპ პირებმა გაიარეს შესაბამისი სამედიცინო თუ საგანმანათლებლო კურსი. ორგანიზაცია მზად არის, აგრეთვე, საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის მხარდაჭერით, შშპ პირებისთვის საქართველოში რამდენიმე ადაპტირებული ობიექტის მშენებლობა დააფინანსოს; ამასთან, ქართულ მხარესთან ითანამშრომლოს შშპ პირებისთვის ადაპტირებული კომპიუტერისა და ინფორმაციის დანერგვაში. ისრაელმა სტუმრებმა მზადყოფნა გამოთქვეს, აგრეთვე, ისრაელში უმასპინძლონ ქართული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და ადგილზე გააცნონ ის ტექნოლოგია, რომელიც სპეციალურად შშპ პირებისთვის იქმნება. მათ ქართულ კოლეგებს ურჩიეს, რაც შეიძლება მეტად იყვნენ კანონით დაცული, საკუთარი უფლებების დაცვაში კი აქტიურად ჩართონ მედია. საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატისა და ისრაელის სახლის თათნობით გაბართული შეხვედრას სასტუმრო „ზა პალასმა“ უმასპინძლა, ისრაელელ სტუმართა საქართველოს მასშტაბით ტურის კი ორგანიზება კომპანია „დორონ თრეველმა“ გაუკეთა.

# მეწარმე ახალი საწარმოსთვის დაბალბროცენტური სესხის აღებას შეძლებს

მეწარმეებს შეეძლება, ახალი საწარმოსთვის წლიური ერთიდან სამ პროცენტამდე სესხი აიღოს, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის ნაწილში სახელმწიფო დაფინანსებს სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10 პროცენტს. ანუ საუბარია იმაზე, რომ თუ მეწარმე ბანკიდან აიღებს სესხს, პირობითად, 13 პროცენტში, სახელმწიფო მას დაუფინანსებს 10 პროცენტს, დანარჩენ 3 პროცენტს კი ის თავად გადაიხდის. რაც შეეხება უზრუნველყოფის ნაწილს, როგორც ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, ყველა ბანკი, მით უმეტეს, დამწყები ბიზნესის შემთხვევაში, ითხოვს უზრუნველყოფას და ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან 30 პროცენტით მოხდება გარანტირება, ანუ ბანკი შეღავათიან განაკვეთს მოითხოვს უზრუნველყოფის ნაწილში. რაც შეეხება უძრავი ქონების კუთხით მხარდაჭერას, მინისტრის განმარტებით, გამზადებულია დაახლოებით ასამდე უძრავი ქონება თბილისსა და რეგიონებში, რომელიც სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცემა იმ მეწარმეებს, რომლებიც ახალ საწარმოს შექმნიან როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. „საუბარია იმაზე, რომ ქალაქის პირობებში საბაზრო ღირებულების ექვსმეტი ოდენობით უნდა მოხდეს საინვესტიციო ვალდებულებების აღება, თბილისის გარეთ, რეგიონებში კი, საბაზრო ღირებულების ოთხმეტი ოდენობით“, – განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა (ინტერპრესნიუსი)

# შშპ პირები ისრაელიდან დახმარებას მიიღებენ

საოლქო-საარჩევნო კომისიებში მუნიციპალიტეტების გამგებლობის კანდიდატების რეგისტრაცია დასრულდა. 15 ივნისს დაწინაურებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, კახეთის რეგიონში გამგებლობის ვეგულაზე მეტი კანდიდატი საგარეჯოში რეგისტრირებული, თუმცა კანდიდატებს შორის ყველაზე მაღალი კონკურენცია ამ დროისთვის ახმეტასა და ლავიანშია. **სურამში** „ქართული ოცნებიდან“ კენჭს დავით ჯანიკაშვილი იყრის; არასაპარლამენტო ოპოზიციიდან (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) გამგებლობის კანდიდატი გიორგი მჭედლიძეა; ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან – ზაზა ზედიაშვილი; ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან ირაკლი სულაშვილი; მერაბ კოსტავას საზოგადოებრივ წოდარ კულტბაშია; **თელავში** „ქართული ოცნების“ კანდიდატი ალექსანდრე შათირიძეა; არასაპარლამენტო ოპოზიციიდან (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) მაღაზარ არუდაშვილი; ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან – ვეგულა ბალატირაძე; ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან გიორგი ბოტკოველი; **ახმეტაში** „ქართული ოცნებიდან“ გამგებლობის კანდიდატი ბექა ბაიდაური; ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან შარლო ტერტრაძეა; ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან – შურა ფილაშვილი; არასაპარლამენტო ოპოზიციიდან (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) – სურკი ბარბიძე; **ყვარელში** „ქართულმა ოცნებამ“ გამგებლობის კანდიდატად ილია მუხლაშვილი წარადგინა; დავით თარხან მორჯია – საქართველოს პარტიოტთა ალიანსიდან“ გამგებლად კენჭს ალექსი მოუკაშვილი იყრის; ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან – ილია ბურკიაშვილი; მნავანთა პარტიიდან – რევაზ ჩოხადარი; ნაციონალური მოძრაობიდან – ხატია დეკანოიძე; **ლაგოდეხში** „ქართული ოცნების“ კანდიდატიკარლო (კახა) ჯანაშვილი; საქართველოს ძალიან ვეტერანთა და პატრიოტთა მოძრაობიდან კენჭს წოდარ მანიგაშვილი იყრის; ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან – ისაკო ცქეფურიძე; ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ნიკა ნოზაძე; დედოფლისწყაროში „ქართული ოცნებიდან“ გამგებლობის კანდიდატი ნიკოლოზ ჯანიკაშვილი; ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ეშვარ ჯანიკაშვილი; არასაპარლამენტო ოპოზიციიდან – გელა ბაგალიძე; **საგარეჯოში** „ქართულმა ოცნებამ“ გამგებლობის კანდიდატად გიორგი გზირიშვილი წარადგინა; საქართველოს პარტიოტთა ალიანსმა – სოსლან გარსევანიძე; სახალხო პარტიიდან კენჭს ალექსი არაბული იყრის; ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობიდან – დავით მასიშვილი; „ნაციონალური მოძრაობიდან“ გარსევან ბუნეკაშვილი; არასაპარლამენტო ოპოზიციიდან – ივანე დემეტრაშვილი; ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან თენგი სონიშვილი; ქრისტინა დემოკრატიული მოძრაობიდან – ილია ქიაურელი; **გურჯაანში** „ქართული ოცნებიდან“ კენჭს იყრის გივი გერგიძე; „სურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან“ ვალერი მოშიაშვილი; ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან – გიორგი პეტრუშაშვილი; სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზიდან – ფარეზი ბანელაშვილი; „თვითმმართველობა ხალხს“ – ზაზა ნაცვლიძე. გამგებლობის კანდიდატებს შორის ყველაზე მაღალი კონკურენცია ამ დროისთვის ახმეტასა და ლავიანშია. ახმეტაში სახელისუფლებო პარტიის კანდიდატი ბექა ბაიდაურს კონკურენციას უწევს ახმეტის პოლიციის ყოფილი უფროსი შურა ფილაშვილი – ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან. არჩევნებში მონაწილეობს კახეთის საზოგადო ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახურის ყოფილი უფროსი შარლო ტერტრაძე; კახეთის საინფორმაციო ცენტრის მერ, ნინასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, „ქართულ ოცნებას“ პანკისის სეზონში (ეთნიკური ქსტებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორია) და ალვანის ზონაში (თუშებით დასახლებული ტერიტორია) დაბალი რეიტინგი აქვს. ამასთან, ბექა ბაიდაურის კანდიდატურას თავად „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის წარმომადგენლებიც აპროტესტებდნენ, რის გამოც მათ შტაბი დატოვეს და არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვეს. რაც შეეხება ლავიანს, „ქართული ოცნებიდან“ გამგებლობის კანდიდატს კონკურენციას ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან გამგებლობის კანდიდატი ისაკო ცქეფურიძე უწევს, რომელიც ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ კანლის თემში გამგებლობის კანდიდატებიდან ყველაზე ცნობადია. კაბლის თემში ამომრჩეველთა თითქმის 30% ცხოვრობს.

# წინასაარჩევნო შეხვედრები მოსახლეობასთან

ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. დედოფლისწყაროში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამგებლობისა და მაჟორიტარობის კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავენ. 22 მაისს სამრეკლოში სოფლის მაცხოვრებლებს გამგებლობის კანდიდატი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ამავე სოფლის მაჟორიტარობის კანდიდატი გორჩა სამუკაშვილი შეხვდნენ. ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოკლედ მიმოიხილა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ წელიწადნახევრის განმავლობაში დედოფლისწყაროში განხორციელებული პროექტები და სამომავლო პერსპექტივებზეც ისაუბრა: „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ხალხი პირველად ირჩევს მუნიციპალიტეტის გამგებლებს, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ამომრჩევლის, ანუ, თქვენს წინაშე. მე ორთვენახევარი ვასრულებდი დედოფლისწყაროს გამგებლის მოვალეობას და, აქედან გამომდინარე, შემძლია თამამად გელაპარაკოთ იმ მიღწევებზე, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების მიერ განხორციელდა. წინა ხელისუფლების მმართველობის დროს 9 წლის მანძილზე არ გაკეთებულა იმდენი

რამ დედოფლისწყაროში, რაც ამ წელიწადნახევრის განმავლობაში გაკეთდა. ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, ჩვენი პრიორიტეტია მომავალ თაობაზე ზრუნვა. დედოფლისწყაროში პირველი იყო საქართველოში, სადაც საბავშვო ბალები უფასოა, თუმცა, ბავშვებზე ზრუნვა ამით არ ამოწურულა. გადასახადის გაუქმების წყალობით აღსაზრდელთა გაზრდილ კონტიგენტს გაუფუძვლებსე მანამდე არსებული მდგომარეობა, კერძოდ: 19 ბალიდან 17-ს

დედოფლისწყაროში პირველი იყო საქართველოში, სადაც საბავშვო ბალები უფასოა, თუმცა, ბავშვებზე ზრუნვა ამით არ ამოწურულა. გადასახადის გაუქმების წყალობით აღსაზრდელთა გაზრდილ კონტიგენტს გაუფუძვლებსე მანამდე არსებული მდგომარეობა, კერძოდ: 19 ბალიდან 17-ს რეაბილიტაცია ჩაუტარდა, გათბობისა და კვების პირობები მკვეთრად გაუმჯობესდა, ბაღის პედაგოგებს ხელფასები გაეზარდათ. რადგან მომავალ თაობაზე ვსაუბრობთ, აქვე გეტყვი იმასაც, რომ პირობები გაუმჯობესდა სკოლებშიც. მოსწავლეებმა სკოლის სახელმძღვანელოები უფასოდ მიიღეს და ყველას მიეცა სწავლის შესაძლებლობა. მანამდე თითო ბავშვის სასკოლო სახელმძღვანელოების პაკეტის შესაძენი თანხა მძიმე ტვირთად აწვა ოჯახების ბიუჯეტს. ასევე, უმაღლეს სასწავლებლებშიც 17



ფაკულტეტი უფასო გახდა. დამეთანხმებით, ესეც ფინანსურ შეღავათს მოუტანს სტუდენტებსა და მათ მშობლებს. აქედან გამომდინარე, შეგიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენი გუნდის პრიორიტეტი მომავალი თაობა და მათი განათლებაა. წინა ხელისუფლება ებრძოდა განათლების სისტემას, რადგან მათ არ აწყობდათ განათლებული ხალხი, რატომ? მიზეზი მარტივია: განათლებულ ადამიანს ვერც მოატყუებ და ვერც დაიმონებ. მაგრამ ქართველი კაცი მონა არასოდეს ყოფილა და არც იქნება. ამიტომ თქვა მოსახლეობამ უარი „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობაზე.

შეძლო მიტოვებული მიწების დამუშავება. ეს წელი წარმატებული აღმოჩნდა მევენახეებისთვისაც. მათ მონეული მოსავლის რეალიზაცია პრობლემების გარეშე სასურველ ფასში შეძლეს და ამან დადებითი შედეგიც გამოიღო - 120 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა დედოფლისწყაროში. გახსოვთ ალბათ, როგორ გადაუხადა ფული წინა ხელისუფლებამ გლეხს ვენახის გაჩეხვაში? მიუხედავად ბევრი ადამიანის სკეპტიციზმისა, ამან კი ვაზის მოვლა მნიშვნელოვნად გააიოლა. თქვენს სოფელში ამ ბულატორიის ახალი შენობის აშენებაც იგეგმება. ჩვენი მიზანია, კეთილდღეობა ყველა ოჯახს შეეხოს და ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის, თუმცა, მანამდე თქვენი მხარდაჭერაა საჭირო“ - აღნიშნა თავის გამოსვლაში ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.



არცთუ მოკლე პერიოდის წინ მოსახლეობის ჯანდაცვა ხელმისაწვდომი მხოლოდ ერთეულებისთვის იყო, ახლა კი მართლაც საყოველთაო გახდა. თუმცა, დედოფლისწყაროს ერთი დიდი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი-ეს საავადმყოფოს საკითხია. მინდა გავახაროთ და გითხრათ, რომ ჩვენს რაიონს მალე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 25 საწოლიანი საავადმყოფო ექნება. ადგილი უკვე შერჩეულია, აშშ-ს მთავრობის მიერ საჩუქრად გადმოცემული მილიონი ლარის აპარატურაც დასაწყობებულია და მალე მშენებლობაც დაიწყება. მნიშვნელოვანი ძვრებია სოფლის მეურნეობის სფეროშიც. მისი ხელშეწყობის მიზნით, მთავრობამ აგრობარათები დაარსა და ბევრმა

ბულატორიის ახალი შენობის აშენებაც იგეგმება. ჩვენი მიზანია, კეთილდღეობა ყველა ოჯახს შეეხოს და ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის, თუმცა, მანამდე თქვენი მხარდაჭერაა საჭირო“ - აღნიშნა თავის გამოსვლაში ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. შეხვედრის დასასრულს დამსწრე საზოგადოებამ კანდიდატებს შეკითხვები დაუსვა, ნაწილმა კი მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები გააცნო მათ. შეხვედრას ასევე ქალაქ დედოფლისწყაროს, გამარჯვებისა და სოფელ ხორნაბუჯის მაჟორიტარობის კანდიდატები მიხილ ბახუტაშვილი, გივი გიგაური და გია გოგილაშვილი ესწრებოდნენ. ინგა შიოლაშვილი

## არჩევნები - 2014

**(პირველი გვერდიდან)**

სიის პირველი ნომერი საპარლამენტო არჩევნებზე კოალიციის დედოფლისწყაროს საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. მეორე მამუკა სეფიაშვილია მრეწველებიდან, მესამე ნომრად კი ქართული ოცნების დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზვიად ჯავახიშვილი ფიქსირდება. სიის მეხუთე ნომერი სახანძრო განყოფილების უფროსი დავით ალუღიშვილია, ის „ლეიბორისტული პარტიიდან“ 2002-06 და 2006-10 წლების მონევის საკრებულოს წევრი უკვე იყო. გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი სიის მეათე ნომერია. სიაში გვხვდება ნევროპათოლოგი მანანა ცხვედიაშვილიც, რომელიც მრეწველებიდანაა წარდგენილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ სიას სათავეში დედოფლისწყაროში საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი უდგას. ის ამჟამად პარტიის რაიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. კულუარებში სახელდება, რომ ბალაშვილი გამგებლობისთვის იბრძოლებდა. თუმცა, ვადების ამოწურვის შემდეგ გაირკვა, რომ ლევან ბალაშვილი მხოლოდ საკრებულოს დეპუტატის მანდატის მოპოვებას შეეცდებოდა. ის მიიჩნ

ნევს, რომ საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით მისი მუშაობა საკრებულოში გაცილებით ეფექტური იქნება. „კანონმა შემზღუდა, რომ ორივე პოზიციაზე მეყარა კენჭი, გამგებლის კანდიდატურაზეც და საკრებულოშიც. თვითმმართველობის არჩევნებში 2002 წლიდან ემონანილებო, ვიყავი როგორც მმართველ პოზიციაზე, ასევე 2002 წელს ოპოზიციაში და ახლაც ოპოზიციაში ვარ. ასე რომ, საკრებულოში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს და ვთვლი, რომ ამ პოზიციიდან უფრო ეფექტური იქნება ჩემი მუშაობა დედოფლისწყაროელებისთვის.“ — განუცხადა „შირაჟს“ ლევან ბალაშვილმა.

ყოფილი მმართველი გუნდის სიის მეორე ნომერი დედოფლისწყაროში ლევან იაკობიშვილია. ის მანამდე ზემო მარჯანის რწმუნებული იყო, უფრო ადრე კი ძალოვან უწყებებში მუშაობდა. მესამე ნომრად წარდგენილია ნყალომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი, საკრებულოს წევრი ლევან მჭედლიშვილი. მეოთხე ნომერი სოფელ სამთაწყაროს ყოფილი რწმუნებული ვალაბა ნადირაშვილია, ხოლო მეხუთე გიორგი რობიტიანი. სიაში გვხვდებიან გამგებლის აპარატის ყოფილი უფროსი ნინო ჩოხელი და სოფელ ოზანის ყოფილი რწმუნებული სოსო თევზაძე.

**„ქართული ოცნების“ მაჟორიტარები:**

ძ. დედოფლისწყარო — მიხეილ ბახუტაშვილი; ზემო მარჯანის და მირზანის — ალექსანდრე ბენაშვილი; არბოშიცი — არსენ ბალაშვილი; ოზანი — ზაზა მხარაიშვილი; გამარჯვება — ბივი ბიბაური; ხორნაბუჯი — გია გომილაშვილი; სამრეკლო — გორჩა სამუკაშვილი; ზემო ქედი — ნიკოლოზ ხუციშვილი; არხილოსკალო — გორჩა ანთაური; ქვემო ქედი — ღვაკოტ ხუბარაშვილი; სამთაწყარო-ფიროსმანი — მირაბ ციცილაძე; საბათლო — ვასილ ჩოქუშვიანი.

**„ნაციონალური მოძრაობის“ მყოფი რიტარული სია:**

ძ. დედოფლისწყარო - ლევან ბალაშვილი  
 არბოშიცი - ლევან ბალაშვილი  
 სამრეკლო - გიორგი რობიტიანი

**თვითმმართველობის არჩევნები**

15 2014 ივნისი

საქართველოში

საპარლამენტო არჩევნები

საპარლამენტო არჩევნები

სორნაბუჯი - ლევან მჭედლიშვილი  
 არხილოსკალო - მანანა ალექსანოვი  
 გამარჯვება - თამთა შონია  
 ზემო მარჯანის - ლევან იაკობიშვილი  
 ზემო ქედი - ილო ყვილაიძე  
 ოზანი - თამარ თევზაძე  
 სამთაწყარო - პაატა ნადირაშვილი  
 ქვემო ქედი - ზაპრო ქუმისაშვილი  
 საბათლო - ალექსანდრე აივაზიანი.

ასე რომ, არჩევანი თქვენზეა!.. რამდენიმე კვირაში გაირკვევა, როგორ ძალთა გადანაწილებას მივიღებთ დედოფლისწყაროს საკრებულოში და რამდენად მრავალპარტიული იქნება ახალი მონევის საკრებულო.

ილია გარბაშვილი

# „ხელახან სახელმწიფო მხარდაჭერას და ისინის ფუტკრებით აფუსფუსდნენ...“

სოფელი ზემო მანხანა, ისევე, როგორც ჩვენი ისტორია, ძველთაძველია და საუკუნეებს ითვლის. ვინ მოსთვლის, ამ სოფელზე ჩვენს გაზეთში რამდენი სტატია დამბეჭდავს, რამდენჯერ ჩამდგარვარ ჭარმაგ ხალხში და გამითავისებია აქაური გლეხი კაცის ვასაჭირი თუ დღესასწაული, ამიტომ დღეს მიჭირს რაიმე ახლის თქმა... სოფელ ზემო მანხანაში ვარ და არ შემოძლია არ გავიხსენო ქალბატონი, რომელმაც ამ სოფლის სიყვარულით გალია ცხოვრება და მისივე სიყვარულით ნაიდა ნუთისოფლიდან... მარიამ მაძლარაშვილზე მოგახსენებ... სწორედ ამიტომ, როცა სოფელ ზემო მანხანაზე წერას ვინებდი, მისი ნიგნი „გარდასულ დღეთა მოვლენა“ გადავფურცლე. მან ხომ ამ ნიგნი მარგალიტებად აახყო მთელი სოფლის წარსული, აწყო და ნიგნის სახით დაუტოვა თავის სოფელს. მეც სწორედ მისი ნიგნის ფურცლებს ვიძველივ, აი, როგორ უყვარდა მას მშობლიური სოფელი: - „თვალწარმტაცია ჩემი სოფელი, მომზიბელეობით მარად აღსავსე და მზის სხივებით ციანოსილი, იავარქმნილი ტაძრებით, ახუტუჭებული მთებით და ლურჯი ქედებით. მსოფლიოს არცერთ მტკაველ მინას ჩემთვის არ გააჩნია ის ხიბლი, როგორიც ჩემს ზემო მანხანას, ალაზნის ველიდან რომ შემოვხედავ, განუზომელი ტკობის გრძობა მეუფლება, გული ხარობს, სული შვითავს, ერთ დროს აყვავებული სოფელი, დღეს იავარქმნილი... უსუსურ ადამიანს შეუძლია მხოლოდ დიდი საგნები და მოვლენები დაინახოს. ცხვირინი კი ვერაფერს ამჩნევს. დიდი ადამიანი დიდსაც ამჩნევს და მცირესაც, მცირეშიც შეუძლია აღმოაჩინოს მნიშვნელოვანი და ხალხს დაინახოს...“ ამბობს თავის ნიგნი მარიამ მაძლარაშვილი. მეც სწორედ ამ სიტყვების დედაარსს მიყვები და მცირედის დანახვის იმედით, ზემო მანხანას კულტურის სახლის ეზოში შევიდვარ. ისევე ის ათასჯერ ასვალტვადასხმულ-მიკრეფული ეზო, ისევე ის უფუფეციოდ დარჩენილი ნრე ეზოს მუაგული, უწინ შადრევანს რომ ნიშნავდა, ისევე ის ძველისძველი კულტურის სახლის შენობა, საბჭოური ნიჟარის დროინდელი გადაქცევილი, უკვე ისტორიის ნაწილად ქცეული დარბაზები და ფანჯრები, ძველისძველი კედლები. გული დამწყდა, ეს სოფელი მაძლარაშვილისევე წყაროს მიხედვით, ნიჭიერი და პროფესიონალი კადრების მშობლად და სამჭედლოდ მოიაზრება. ნიგნის მანძილზე ამ სოფელმა გამოზარდა ოცდაცხრა აგრონომი, ოცდაათი ზოოტექნიკოსი, ოცდაათი ინჟინერი, თორმეტი მშენებელი-ინჟინერი, ორი არქიტექტორი, ოცდაერთი იურისტი, ორი მფრინავი და ორმოცდათერთმეტი ექიმი, დოქტორები, პროფესორები, განა შეჰფერის ამისთანა ხალხის მშობელ სოფელს ამგვარი იერსახე?! - ამბობს დარჩენილებმა და მათმა დანატოვარებმა ხმა რომ აიმაღლონ, ანდა, რამით დაენახნენ სოფელს, ბარემ ერთ დიდ ტაძარსაც ააშენებდნენ, მაგრამ...  
სოფლის მუაგულში ორ ადამიანს მოგვკარი თვალი, აღარ შეინიშნებოდა უნიდელის მსგა-

ვსად ცენტრში ხალხმრავლობა, როგორც მოთხრეს, ხალხს აქ დგომის ნუთისოფელი აღარ აქვს, უმეტესობა კი ცოცხალთა რიგებში აღარ არისო. - „სადღაა ხალხი, დაიხოცნენ, აღარ არიან, ახალგაზრდობა კი, ქალაქში ცხოვრებას არჩევს, აქ ვინდა გამოვა, ვისლა ნახავთ?! მოსახლეობა მხოლოდ ერთ რამეზეა ფიქრობს, მალაზიაში მოვიდნენ და კუჭის დასაკმაყოფილებლად რამე წაიღონ სახლში. დაბარჯვენ პენსიებს, ხელფასებს და მერე ელოდებიან შემდეგ თვეს, ესაა დღესდღეობით ჩვენი სოფლის ცხოვრება. რა გაკეთდა?!- მოკლედ გეტყვით, წყალი გაკეთდა, მაგრამ კვლავ წყლის დეფიციტია და კიდევ კეთდება, ბუნებრივი აირი გვაქვს, გზები კეთდება და კვლავ უნდა გავაკეთოთ, განათება გვაქვს, ელექტროენერგია გვაქვს, მაგრამ მონოდების ხარისხი არაა მაკმაყოფილებელი. მოსახლეობის თხოვნაა, რომ სოფლის კულტურის სახლის ეზოში სკვერი გააკეთონ, ახალგაზრდობას ადგილი არ აქვს, რომ შეიკრიბნენ, დასხდნენ და დაისვენონ, უნდა არსებობდეს სოფლის ცენტრში რაიმე სკვერი, თორემ ყველა ამ მალაზიაში იწევს, წვიმს თუ ცხელა, ყველა აქ ცდილობს თავის შეფარებას, ეს მალაზია კი, რამდენ ადამიანს დაიტევს?! ახალგაზრდა ადამიანი, მოხუცია, დედა თუ ბავშვი, ყველას უნდა რაიმე განტვირთვის ადგილი, დასასვენებელი პარკი. მე რომ ვიყო, სოფლისთვის ამ საკითხს მოვანერვივებდი უპირველესად, არის დაპირებებიც და ენახით...“ - ამბობს ჩვენთან საუბარში სოსო ნატროშვილი.  
„არც ვენახი მაქვს შეილი, არც ძროხა მყავს და არც ადგილები მაქვს ყანებით საცხე, უმუშევრობამ ხომ მთლად შეანუხა სოფელი, მაგრამ, სხვას რომ მიეცა შეღავათი და სხვამ რომ ისარგებლა, მე მაგითაც კმაყოფილი ვარ, ხალხს უფასო მოსახხავი პრაქტიკა, უფასო შესანალი პრეპარატები დაურიგდა და ათასგვარი შეღავათი გაუკეთეს, მეტი რა...ერთი კია, ბავშვები გვაყავს უყურადღებოდ, ისე ნუ მომკლა და ნუ ნამიყვანა ამ ნუთისოფლიდან, რომ აგერ სოფლის ცენტრში ნაძვანარის ქვეშ პატარა სკამები და თავის შესაცქევი რამ გაგვიკეთონ, მართალია, მე აქვე ახლოს ვცხოვრობ და ხმაურით შეგნუნდები, მაგრამ, მაინც ვიცნობ, რომ სოფელში ეგ საკითხი მოვარდეს, დედა რომ ბავშვს ხელი მოკიდოს და შეილი გამოასვიროს, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს შეხედნენ, დიდმაც და პატარამაც იგრძნოს, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. მე ვიცი, რომ რაიონის გამგებელი იყო აქ და ხალხსაც შეხვდა. გეგმაც დაისახა, დაგვირდა და ენახით, რას იზამს, თუ დანაპირები მართლაც შეასრულა, სოფელი მადლიერი დარჩება მისი და ხელისუფლებისაც.“ - ამბობს ჩვენთან საუბარში ამ სოფლის მკვიდრი ქალბატონი ნანა დარჩია.  
რას ამბობენ სოფლის რწმუნებულის სპეციალისტები?! - ზემო მანხანას საკრებულოში სტუმრობისას სოფლის თავკაცი გა აკობიშვილი ადგოლზე არ დაგვხვდა, ის ყანებში მხა-

მქიმიკატ „ალპაკის“ მოსახლეობაში გასანაწილებლად გახლდათ წასული. სპეციალისტმა ლალი ბოსტაშვილმა განუელი სამუშაოების და სამომავლო გეგმების შესახებ დანერგებით გაგაცნო ყოველივე. გეგმა და განხორციელებულ საქმეთა წუსხის ჩამონათვალი არცთუ ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ, ხომ ვიცი, ხალხი ოდითგან დღემდე მაქსიმალისტია და ვერც შეედავები, ისინი გადასახადების სახით მათ მიერ სახელმწიფოში შეტანილი თითოეული კაპიკის ბოლო გრომამდე საკუთარი სოფლის საკეთილდღეოდ დახარჯვას ითხოვენ. - „ამ დროისათვის ზემო მანხანაში 2596 მოსახლე, უპირველესი პრობლემა, რაც ოდითგან დღემდე ჩვენს სოფელს გააჩნია, წყალი გახლავთ. ამჟამად, ზემოთ ქუჩებზე ორი კვირა მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, სუფთავდება დიდი ტენადობის ავზი, ვფიქრობ, რომ ივნისის თვეში სოფელს სრულად ექნება წყალმომარაგება. გასულ წელს 1381 მინის მულობელმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო ბარათი, რომელიც მინის უფასო მოხვნა-დაამუშავებას ითვალისწინებდა, წელს, აღნიშნული ბარათები კვლავ დარიგდა და 911 მინის შესაქმნელზე გაიცა. სოფელში 177 ოჯახი იღებს 60 ლარის დახმარებას სოციალური სააგენტოდან. მოცესენებათ, პენსიონერებს 150 ლარამდე გაიზარდათ პენსია, გასულ წელს 58 ოჯახმა მიიღო ზამთრისთვის სათბობი სამუშაოების დახმარება, ხოლო წელს 36 ოჯახმა. სკოლა და საბავშვო ბაღს მთლიანად შეეცვალა კარ-ფანჯრები. ჩავატარეთ სოფლის შემოსასვლელსა და გასასვლელში ნაგავსაყრდის განმუხდითი სამუშაოები და ამჟამად ვახორციელებთ მკაცრ კონტროლს იმისთვის, რომ ის ადგილი აღარ გადაიქცეს ნაგვის ბუდედ. ამ მიზნით ჩავატარეთ დასუფთავების აქცია და ამ ტერიტორიებზე მშენებ ნარგავების დავრგეთ, წმინდა გიორგის ეკლესიამდე გაკეთდა გარე- განათება, 2722 შექტარ მინაზე გაიცა 410 ლიტრის ნამალი „ალპაკი“, რომელიც ყანებში შესული „ბუფის“ სანიტარულადგადგადამოგვეცა. 11 აპრილს ჩავატარეთ სოფლის შემოგარენის დასუფთავების აქცია. გასულ წელს სოფლის დახმარების პროგრამით გაკეთდა „თელისაგაზის გზა“, ასევე „ფხოკის“ უბანში დამონტაჟდა 10 ტონიანი წყლის ავზი, აღნიშნული არხები, ხოლო კერძო პირმა ნოდარ ტოკლიკიშვილმა გზის განათებები

დამონტაჟა ეკლესიის შესასვლელთან. სა- მომავლად დაგეგმილი გვაქვს სოფლის ცენტრში საბავშვო სკვერის გაკეთება და ასევე სასაფლაოების შემოღობვა,“ - გვიყვება ზემო მანხანას საკრებულოს სპეციალისტი ლალი ბოსტაშვილი. კითხვაზე, როგორია სოფლის საერთო მდგომარეობა სოციალური კუთხით და იგრძნობა თუ არა პროგრესი ამ მხრივ, ქალბატონი ლალი გვაპასუხობს, რომ, ვისაც შრომა არ ეზარება და მუშაობს, მათთვის ნამდვილად ეუმჯობესდა ცხოვრების პირობები, - „ხალხი გამოცოცხლდა და მივიწყებული მინის ნაკვეთები მოიკითხეს, უფასო მოხვნამ ხელი შეუწყო, მარცვლული მოყვანათ და სტიმული მიეცათ, ხედავენ სახელმწიფო მხარდაჭერას ამ კუთხით და ისინიც ფუტკრებით აფუსფუსდნენ, მექანიზმი, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით სახელმწიფომ ააბუშავა, ვერ დახვეწილი არაა, მაგრამ, ასე მოკლე ხანში თუ ასე კარგად გაამართლებდა ეს პროცესი, არავინ ელოდა. მათ კი, ვისაც შრომა ეზარება და მინასთან მწყურადად არის, რაღა თქმა უნდა, მათ ოჯახებში სოციალური ფონი დაბალი რჩება.“ - ამბობს ლალი ბოსტაშვილი.  
შესაძლოა, ირეალისტური იყოს ჩემი სურვილი, ისიც არ ვიცი, დადგება, თუ არა ეს დღე ოდესმე, მაგრამ დიდი სურვილი კი მაქვს, რომ ოდესმე დადგეს დრო, ზემო მანხანას „ნაზარების“ ტერიტორიებზე მოწყულმა ხორბლის თავთავმა მოსახლეობის პურის ბუდეები უხვად გაავსოს, ხოლო მათ ვენახებში მოკრეფილმა ყურძნებმა- სანახებლები, ქვევრები და ჭურბები, რათა მოხეივანი- ეზენით, მოტირალი- ელოვით, სოფლის მამუნებლებს კი, მყარად ეშენებინოთ, ისე ეშენებინოთ, რომ სოფლის მამა-პაპულე ფუძეს და კერას ყოველი აქაური დაბრუნებულს, ქვეყანა წარმოსახვებით კი არა, მართლა აყვავებულიყოს!

ლალი მხინიშვილი



## ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და პერსპექტივები ევროპის ბაზარზე

იენისში საქართველო ხელს მოანერს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამ ეტაპიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები ახალ ფაზაში შევა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ამ ურთიერთობებში იქნება ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რომელიც საქართველოს პროდუქციას ევროპის ბაზარზე ახალ და მნიშვნელოვან პერსპექტივებს გაუჭენს.  
რა გავლენას იქონიებს ეს შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვაზე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოკლედ მიმოვიხილოთ არსებული სიტუაცია.  
ევროკავშირი დღესაც საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. მისი წილი იმპორტის საერთო რაოდენობაში 30 %-ს, ხოლო ექსპორტისა 20 %-ს შეადგენს. უცხოეთში ექსპორტირებული ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტის, დაახლოებით, მეოთხედი (23 პროცენტი) დღესაც სწორედ ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის. ექსპორტირებული პროდუქტი, სახეობათა მიხედვით, არცთუ მრავალფეროვანია, განსაკუთრებით ჭარბობს პირველადი ნარმოების პროდუქტია. მაგალითად,

2012-2013 წლებში ევროკავშირის ბაზარზე, დაახლოებით, 50 დასახელების პროდუქტი გავიდა. მათი უმრავლესობა დღეს ევროკავშირთან არსებული შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმით (ე.წ. ვსპ+ით) სარგებლობს და ნულოვანი საბაჟო განაკვეთით შედის ევროკავშირის ტერიტორიაზე.  
ექსპორტირებული პროდუქციის 64 %-ს თხილი შეადგენს, თუმცა შეინარჩუნებს თუ არა ამ წარმატებას და დინამიკას, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი ფასები იქნება ახლო მომავალში მინასა და მუშახელზე საქართველოში.  
დღეს ევროკავშირთან ვაჭრობის - განსაკუთრებით კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის - ხელის შემშლელი ფაქტორები, ერთი მხრივ, მაღალი ტარიფებია, ხოლო, მეორე მხრივ, არასატარიფო ლონისმიხედვით გამოწვეული დაბრკოლებები.  
ამ კონტექსტში, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანდ შეამცირებს სავაჭრო ბარიერებს ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს - საშუალებას მისცემს ქართველ ბიზნესმენებს სულ უფრო მეტი სახეობის პროდუქტის გაიტანონ ევროკავშირის ქვეყნებში და, ასევე, გაზარ-

დონ ამ ვაჭრობით მიღებული შემოსავალი და სარგებელიც.  
წინასწარი გამოთვლებით, შეთანხმების ამოქმედების შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 6,5 %-მდე გაზრდას გამოიწვევს. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 13.5 %-ით გაიზრდება. ყველაზე მაღალი - 55 %-ით - ზრდა ნავარაუდევია ტექსტილის ნარმოებისა, ხოლო ხილის, ბოსტნეულის, კვების პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარმოების ზრდა ნავარაუდევია 4 %-ით.  
ზემოთ აღნიშნული ბარიერების გარდა, არსებობს აგრეთვე რიგი ე.წ. ტექნიკური სავაჭრო ბარიერებისა, როგორცაა ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები, გეოგრაფიული აღნიშვნები და სერტიფიკაციის პროცედურები. ეს ბარიერები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ნაკლებად გამჭვირვალე და თვალსაჩინოა, სატარიფო ბარიერებთან შედარებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აგროსასურსათო - ანუ სოფლის მეურნეობის - პროდუქტებს ეხება, რომელთაც უნდა დააკმაყოფილონ წინასწარ შემუშავებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები. ევროკავშირი მსოფლიოს

ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც მომხმარებელთა დაცვის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამიტომ ამ ნორმების დაკმაყოფილება ერთ-ერთი მთავარი ტავი- მონვევა იქნება ქართული ბიზნესისთვის. საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის დაახლოება ტექნიკური ბარიერებისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების სფეროებში ყველაზე მეტად აუცილებელი და, ამავდროულად, ძვირად ღირებული პროცესია. ამ პროცესს საქართველოს მხარის მნიშვნელოვანი ძალისხმევა სჭირდება, რამაც უახლოეს პერიოდში ევროკავშირის მხრიდან სერიოზული ფინანსური და ტექნიკური დახმარებაცაა გათვალისწინებული.  
აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ პროცესის განხორციელება, მისი სირთულის მიუხედავად, შესაძლებელია. შედეგი კი ქვეყნისთვის საკმაოდ საინტერესოა: ეს პროცესი ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას, ინვესტირებათა მნიშვნელოვან მიზიდვლებს ზრდას (განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის სფეროში), რაც პირდაპირ აისახება გაზრდილ საქსპორტო სავაჭრო მაჩვენებლებში და, შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობის მაჩვენებლების ზრდაში.

# გეპატიჟებით ვარდისფერ სამყაროში...

თბილისში 1868 წელს პირველი საბავშვო ბაღი დაარსდა. მაშინ საბავშვო ბაღის არსებობა კაპიტალისტურ წყობაში ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. სკოლამდე ალზრდის ორგანიზებულ სფეროში-საბავშვო ბაღში მოხვედრა პირველ რიგში პროლეტარიატის ხვედრი იყო. იმისათვის, რომ საბავშვო ბაღები უფრო პოპულარული გა-

გაქრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. ბავშვების გაზრდისთვის თვალეზი და მშობელთა გაღიბებულ-გაოცებულ სახეებზე აშკარად ამოიკითხავდით დიდ კმაყოფილებას.

- დიას, აღფრთოვანებული და გაოცებულები ვართ, ამდენს ნამდვილად არ ველოდით. მართალია, სარემონტო სამუშაოები დროში რომ გაინელა,

ვილს, გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს(რომლის გამგებლობის პერიოდშიც დაინიშნა ეს სასიკეთო საქმე) და მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, რომლის გამგებლობის პერიოდშიც უკვე წარმატებით დასრულდა საბავშვო ბაღების განახლების პროცესი.

როგორც მაია ყოჩიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, განახლებულ ბაღებს კიდევ უფრო გამდიდრებული კვება უფრო მიმზიდველს ხდის, უფრო კონკრეტულად კი -მენიუში ხორცი, ვაშლი და კარამელი დაემატა.

თითქმის ნახევარი დღე სხვადასხვა ბაღებში მშობლებთან, პედაგოგებთან, სააღმზრდელო ცენტრის და გამგეობის თანამშრომლებთან ერთად ვმოგზაურობდით. განწყობა კი ყველგან ერთნაირად მხიარული და ხალისიანი იყო, ალაგ-ალაგ ახლადმოსული პანების ტირილიც მოისმოდა, მაგრამ ის საერთო განწყობას ხელს ვერაფრით უშლიდა. თვალწინ გადამეშალა ჩემი ბავშვობის პერიოდის ქალაქის №1 საბავშვო ბაღის ძალიან ძველი, ნაცრისფერი შენობა, ახლაც ყურში მესმის ყოველ დილა შენობაში შესვლისთანავე გამგის კაბინეტიდან პედაგოგთა გაუთავებელი ჩხუბის ხმა, რომელიც, რატომღაც დაუსრულებელი აღმოჩნდა და ყოველ დილა ერთიდაიგივე მეორდებოდა, ძალიან მოხუცი მასწავლებლები და ძიძები, (მაშინ ასე მიმაჩნდა), რომლებიც ჩვენს ბავშვობას ვერაფრით ახალისებდნენ, ყოველ საღამოს 6 საათზე კი ცრემლიანი თვალებით მშობლის მოლოდინი, რომ დროზე დაგვეღწია თავი ამ "ნაცრისფერი სამყაროსთვის". ვუყურებ ახალგაზრდა აღმზრდელების ხალისიან სახეებს, ენერგიული ძიძების და სხვა დამხმარე



პერსონალის ბავშვებისადმი მზრუნველობას, პარალელს ვავლებ და აბსოლუტურად განსხვავებულად ვფიქრობ. დღეს ჩემს ნიკოლოზს უზომოდ უხარია "ახალ ბაღში" წასვლა, მას იქ "ახალი მეგობრები", "ახალი სათამაშოები" და "ვარდისფერი სამყარო" ელოდება, საღამოობით "ყოველდღიურ ამბებს" აღტაცებით მოუთხრობს ძმას. როგორც მშობელს,

ჩემი შვილივით მიხარია ეს ყოველივე და ვულოცავ ყველა დანარჩენ მშობლებს, ჩვენი შვილების ასეთ კეთილსაიმედო გარემოში ყოფნას. გვსურს, თითოეულ ბავშვს ოჯახშიც ჰქონდეს ასეთივე ადექვატური და, თუნდაც, უფრო უკეთესი პირობები და გარემო, როგორც დღეს ჩვენს საბავშვო ბაღებშია.

ელზა ხარაშვილი



მხდარიყო, მალე იქ ბავშვების შეყვანა მაღალი წრის ოჯახის წევრებმაც დაინიშნა. დღეს საბავშვო ბაღი სახელმწიფოში ერთ-ერთი პრესტიჟული და ყველაზე საჭირო დაინტერესებულბაა. აქ იზრდებიან ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობები, აქ იღებენ ისინი ყოველმხრივ განვითარებას მათი ცხოვრების ყველაზე საჭირო, ყველაზე ამთვისებლურ პერიოდში.

ორშაბათს, 19 მაისს ქალაქის N1, N3, N4 საბავშვო ბაღები, ხანგრძლივი, მაგრამ ფუნდამენტურად, თანამედროვე, ევროსტანდარტებით აღჭურვილ-გარემონტებული, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ბავშვებთან ერთად ლენტი

ჩვენც შევწუხდით, მაგრამ რომ გვცოდნოდა, ასეთ ბაღებს დაგვახვედრებდნენ, ნამდვილად უფრო მშვიდად ვიქნებოდით, თვალეზს არ ვუფერებ, ჩვენი შვილები ბაღში ასეთ პირობებს რომ მიეჩვევიან, თუ ადრე დილაობით ტირილ-ტირილით ძლივს ვამზადდებდით და მოგვყავდა, ამის მერე სულ სიხარულით გამოიქცევიან.-აცხადებს ჩვენთან საუბარში მშობელი მარი ნატროშვილი.

შევხვდით და გავესუბრეთ საბავშვო ბაღების დირექტორებს: ქეთინო დოლიძეს, მაია ფოცხვერაშვილს და ხათუნა ხატიაშვილს. ისინი მაღლობას უცხადებენ მათ უშუალო ხელმძღვანელს მაია ყოჩიაშ-



## ინტელექტუალური კონკურსის ფინალური ტური

16 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსის მე-4 ფინალური ტური. მასში გაიმარჯვა და პირველ ადგილზე გავიდა N1 საჯარო სკოლის გუნდი "მასტერმანდი", მეორე ადგილი ქვეყნის საჯარო სკოლის გუნდმა "სამი ე"-მ მოიპოვა,

ხოლო მე-3 ადგილს დასჯერდა გამარჯვების საჯარო სკოლის გუნდი "ტვინიკოსები".

ფინალური ეტაპი ემოციურად დაძაბულ გარემოში წარიმართა, ისმო-

ფებოდნენ, მაგრამ, იმ ვითარების გამო, რომ მიმდინარე წელს ჩატარებულ ტურებში N1 საჯარო



და მოსწავლეთა გამამხნეველი შეძახილები. გუნდები, როგორც ყოველთვის, თანაბარ პირობებში იმყო-

შედეგამაც არ დააყოვნა და ამჯერადაც მათ ხვდათ პირველი ადგილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ გამგეობის განათლების, კულტურისა და

სკოლა ლიდერობდა გამარჯვებულთა შორის, სპორტის სამსახურის და სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სამომავლოდ კვლავ უამრავ, მოსწავლეთათვის საინტერესო და შემეცნებით ღონისძიებებს გეგმავს.

ელზა ხარაშვილი

## მესამე ადგილი ჰერეთის თასზე გოგონათა ფეხბურთში

ამ დღეებში, ქ. ლაგოდეხში „ჰერეთის თასზე“ მიიღო მონაწილეობა დედოფლისწყაროს გოგონათა გუნდმა მინი ფეხბურთში. ესენი არიან: ჯილდა კედელაშვილი, მეგი ნიკოლაური, ანი დავითაშვილი, ანი და თიკო არაბულუები, ნინო თეთრაული, ნინო ჯანაშვილი. ტურნირში მონაწილეობდნენ ქობულეთის,ხაშურის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის და სიღნაღის გუნდები. დედოფლისწყაროს გუნდმა სიღნაღის გუნდს და 6:0 დაამარცხა.

ნახევარფინალში კი ნავაგეთ ახმეტის გუნდთან ანგარიშით: 4:2. სამჯერ მოარტყა კედელაშვილმა ძელს, მაგრამ იღბალი ახმეტის მხარეს იყო. ფინალში შეხვდნენ ლაგოდეხის და ახმეტის გუნდები. პენალტებით მოიგეს ახმეტელებმა და დაეუფლნენ "ჰერეთის თასს".

ჩვენმა გოგონებმა დაიკავეს მესამე საპრიზო ადგილი, რაც დიდი წარმატებაა ჩვენი რაიონისთვის, რადგან უკან მოვიტოვეთ ქობულეთის, ხაშურის და სიღნაღის გუნდები.

ტურნირს ესწრებოდნენ ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნინო სორდია და საქართველოს ფეხბურთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი თამაზ კოსტავა.

ჩვენს გოგონათა გუნდს კი ვუსურვებთ, მომავალში უფრო დიდი წარმატებების მიღწევას.

მწვრთნელები: აპაო მარაგლივილი, ზურაბ ჩალაშვილი.



# ინფორმაცია პირუსული მენინგიტის შესახებ

საქართველოს მასშტაბით ვირუსული მენინგიტის 161 შემთხვევა რეგისტრირებულია ამის შესახებ "მედიანიუსს" დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა და დასძინა, რომ ამ დრომდე არცერთ შემთხვევა ლეტალური შედეგით არ დასრულებულა.

მისივე თქმით, აღნიშნულ ინფექციას არ აქვს ისეთი მძიმე გამოვლინებები, რომ ფატალურ შედეგებამდე მივიდეთ.

როგორც ხათუნა ზახაშვილმა აღნიშნა, ვირუსული ინფექცია საავარაუდოდ შემოდგომამდე გავრცელდება.

"სანამ ჰიგიენის დაცვას არ ისწავლიან მშობლები და პატარების გაკონტროლებას არ დაიწყებენ, ვირუსი არ შემცირდება. ათასგვარი ჰიგიენური საშუალება არსებობს, რითაც ბავშვის შეიარაღება შესაძლებელია. რა თქმა უნდა, ამ მხრივ გასამკაცრებელია ჰიგიენის დაცვის ნორმები ბაღებსა და სკოლებშიც. ეს შემთხვევები სკოლამდელ ბავშვებში ხშირია. ნაკლებად დიდებში. პანიკის საფუძველი არ არსებობს, თუმცა პანიკას ჯობს, რომ მშობლებმა ჰიგიენის დაცვა ისწავლონ", - განაცხადა ხათუნა ზახაშვილმა და დაამატა, რომ ახლა არის დაავადების ციკლური მატების პერიოდი, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ აქტიურდება.


მელსაც 4-5 წლიანი ციკლორობა ახასიათებს და 2006, 2010 წლების მატებათა შემდგომ მიმდინარე სეზონზე პროგნოზირებული იყო. დღეისთვის რეგისტრირებული შემთხვევების შესწავლით სახეზეა ინფექციის გავრცელება უპირატესად თბილისში, თუმცა გავრცელებას არ აქვს კონცენტრული და ფართო ხასიათი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ვირუსული მენინგიტების კვლევა გამომწვევის იდენტიფიცირების მიზნით.

ენტეროვირუსული ინფექციით ადამიანები ავადდებიან წლის ნებისმიერ სეზონზე, თუმცა ციკლური მატების წლებში საქართველოში შემთხვევათა რიცხვის მატება აღწერილია მაისიდან ნოემბრამდე.

ვირუსული მენინგიტი ხასიათდება ტემპერატურის უეცარი მატებით, თავის ტკივილით და კისრის დაჭიმვით, მას ხშირად თან ახლავს შემდეგი სიმპტომები:

- გულისრევა
- ლებინება
- ფოტოფობია
- შეცვლილი ცნობიერება

ვირუსული მენინგიტით შესაძლოა დაინფიცირდეს ნებისმიერი ასაკის ადამიანი. ბაქტერიული (რომელიც უფრო მძიმედ მიმდინარეობს) და ვირუსული მენინგიტის სიმპტომები მსგავსია, ამიტომ აუცილებელია პირველივე სიმპტომების გაჩენისას სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვა.



ზაფხულის სეზონის მოახლოებასთან ერთად ქვეყანაში დაიწყო ვირუსული მენინგიტების რიცხვის მატებაც. ვირუსული

მენინგიტების გამომწვევი მრავალია. ამასთან, ამჟამად მატება უპირატესად უკავშირდება ენტეროვირუსულ ინფექციას, რო-

ენტეროვირუსული ინფექციით ავადდება ნებისმიერი ასაკის ადამიანი, თუმცა ჩვილები, ბავშვები და მოზარდები უფრო ხშირად ინფიცირდებიან და ხდებიან ავად. ენტეროვირუსით ინფიცირებულ ადამიანთა უმრავლესობა ავად არ ხდება ან აღენიშნებათ მსუბუქი სიმპტომები. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს მძიმე დაავადება. მძიმე დაავადების ან გართულების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან ჩვილები ან სუსტი იმუნიტეტის მქონე პირები. იშვიათად შეიძლება განვითარდეს დამბლებიც.

ვირუსული მენინგიტის სიმპტომები განსხვავდება ასაკის მიხედვით:

ვირუსული მენინგიტის სიმპტომები ჩვეულებრივ 7-10 დღე გრძელდება. ნორმალური იმუნიტეტის მქონე პირები სრულად გამოჯანმრთელდებიან.



ენტეროვირუსის გადაცემის მექანიზმი არის ფეკალურ-ორალური, რაც ნიშნავს რომ ინფიცირება შესაძლებელია ფეკალებით დაბინძურებულ ზედაპირებთან შეხების შემდგომ დაუბნელი ხელის ცხვირის, პირის, თვალების ლორწოვანთან შეხებით.

### სიმპტომები ჩვილებში:

- ცხელება
- გაღიზიანებადობა
- უმადობა
- ძილიანობა

### სიმპტომები მოზრდილებში:

- მაღალი ტემპერატურა
- ძლიერი თავის ტკივილი
- კისრის დაჭიმვა
- მკაფიო სინათლეზე სენსიტიურობა
- ძილიანობა
- გულისრევა, ლებინება
- უმადობა

### პრევენცია

არ არსებობს ვაქცინა ვირუსული მენინგიტის ყველაზე ხშირი გამომწვევის - არაპოლიომიელიტური ენტეროვირუსის საწინააღმდეგოდ. ვირუსის გავრცელების თავიდან აცილება საკმაოდ რთულია, რადგან ზოგჯერ ინფიცირებული ადამიანი არ გამოიყურება როგორც ავადმყოფი, მაგრამ გავრცელებს ვირუსს. ვირუსის გავრცელების პრევენციისათვის რეკომენდებულია შემდეგი ქმედებები:

ხელების ხშირი დაბანა, განსაკუთრებით პამპერსის გამოცვლის, საპირფარეოს ხმარების შემდეგ; ხშირად შეხებადი ზედაპირების სველი წესით დასუფთავება ან დეზინფექცია (როგორც არის კარის სახელური და ა.შ.).

# ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელება

ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელება (CHCF) მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც ინვეს ვირუსის სახეობა Nairovirus, ოჯახი Bunyaviridae. ენდემური კერები გავრცელებულია აფრიკაში, აზიაში, ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთში, თურქეთში, აღრიცხულია საქართველოშიც. ვირუსი გადაეცემა ტკიპის მეშვეობით და ინვეს მძიმე ჰემორაგიულ ცხელებას, როგორც ერთეული შემთხვევების, ასევე აფეთქებების სახით. ადამიანი უფრო ხშირად ინფიცირდება ტრანსმისიულად, ტკიპების კბენით და ავადმყოფი ცხოველების სისხლთან და ქსოვილებთან უშუალო კონტაქტით. ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა შესაძლებელია დაავადებული ადამიანის სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისას, სამედიცინო მანიპულაციების დროს. საავადმყოფოსშიგა რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში შეიძლება გავრცელდეს ჰოსპიტალურად და გამოიწვიოს ნოზოკომიური ეპიდემიები. ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდემია, რომელიც აუცილებლად გამოწვეულია დაავადებული ადამიანის და ცხოველის სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტით, ნარმოადგენს ჯანდაცვის პრობლემას, მისი ეპიდემიური პოტენციალის, მაღალი ლეტალობის (10-40%), ასევე დაავადების მკურნალობასთან და პრევენციასთან დაკავშირებული სირ-

თულებების გამო. როდის ხდება ადამიანი ავად ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით



### ტკიპი-ჰიალომა

რეზერვუარი ბუნებაში ტკიპების მრავალი სახეობაა. ძირითადი გადამტანად ითვლება სახეობა ჰიალომა (Hyalomma), რომელიც საქართველოშიც არის გავრცელებული. ცხოველები, რომლებზეც ტკიპები პარაზიტობენ (თაგვები, ზღარბები, კურდღლები, ძროხები, ცხვრები, თხები და სხვა) ვირუსის დროებითი რეზერვუარებია. ცხოველი ინფიცირდება დაავადებული ტკიპის კბენისას. მის სისხლში ვირუსი დაინფიცირებიდან ერთი კვირის განმავლობაში ცირკულირებს და ტკიპის შემდგომი კბენისას, ინფექციის გადაცემის ციკლი, ტკიპი-ცხოველი-ტკიპი, გრძელდება. ადამიანის ორგანიზმში ვირუსი ხდება ინფიცირებული ტკიპის კბენის შედეგად და მრავლდება რეტიკულურ-ენდოთელურ სისტემაში. რისკის ჯგუფში შედიან:

- სოფლის მეურნეობის მუშაკები
- მესაქონლეები
- ცხოველთა სასაკლაოს მუშაკები
- ვეტერინარები
- მედიცინის სფეროს მუშაკები
- მოგზაურები (ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელე-

ბის ენდემურ რეგიონებში) სიმპტომები დაავადების ინკუბაციური პერიოდი ტკიპის კბენით ვირუსის გადაცემის შემთხვევაში არის 1-3 დღე, დაინფიცირებულ სისხლთან და ქსოვილებთან კონტაქტისას 5-6 დღე, ხოლო მაქსიმალური ინკუბაციური პერიოდი 13-14 დღე.

ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელებას ახასიათებს მწვავე დაწყება, ორტალღიანი ცხელება, ძლიერი ინტოქსიკაცია და ჰემორაგიული სინდრომი. დაავადება იწყება შემცივნებით, მაღალი ცხელებით (39-40 გრადუსი), თავის, კუნთების და სახსრების ტკივილით, რასაც მოსდევს ვირუსემია და ინტოქსიკაცია. ავადმყოფს აწუხებს პირის სიმშრალე, თავბრუ, ლებინება. სახე, კისერი, ლორწოვანი გარსები შეწითლებული აქვს, ზოგჯერ გამოხატულია სიყვითლე. კანზე ჩნდება პეტეჩიური გამონაყარი (წითელი ლაქები). სისხლში აღინიშნება ლეიკოპენია, ნეიტროფილების მარცხნივ გადახრა, მომატებული ელს-ი და თრომბოციტოპენია. დაავადება მიმდინარეობს ტიპურად და ნაშლილი ფორმით. ნაშლილი ფორმების შემთხვევაში ჰემორაგიული სინდრომი გამოხატული არ არის. მძიმე ფორმების შემთხვევაში ვითარდება პათოლოგიური სისხლის დენა ლრძილებიდან, ცხვირიდან,

წალავეებიდან, საშვილოსნოდან და ფილტვებიდან, თირკმელების და ღვიძლის მწვავე უკმარისობა, ასევე მენინგეალური და ტვინის შეშუპების სინდრომი (კრუნჩხვები, კომა). რეკონვალესცენციის პერიოდი 1-დან 2 თვემდე ხანგრძლივდება. დაავადების მძიმე ფორმის შემთხვევაში ლეტალური გამოსავალი დეგრადაცია მე-2 კვირას. არაიმუნურ პირთა ლეტალობა 10-40%-ს აღწევს.

### დიაგნოსტიკა

სწორი დიაგნოზის დასამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას, რომელიც ემყარება მოლეკულურ (PCR) და სეროლოგიურ (ELISA) გამოკვლევებს. დიფერენციალური დიაგნოსტიკით უნდა გამოირიცხოს მენინგოკოკური ინფექცია, გრიპი, ლეტოსპიროზი, თრომბოციტოპენიური პურპურა და სხვა ჰემორაგიული ცხელებები.

### მკურნალობა

აუცილებელია დაავადებული პაციენტის იზოლაცია და ნეიტროფილების მარცხნივ გადახრა, მომატებული ელს-ი და თრომბოციტოპენია. დაავადება მიმდინარეობს ტიპურად და ნაშლილი ფორმით. ნაშლილი ფორმების შემთხვევაში ჰემორაგიული სინდრომი გამოხატული არ არის. მძიმე ფორმების შემთხვევაში ვითარდება პათოლოგიური სისხლის დენა ლრძილებიდან, ცხვირიდან,

ბს ბრძოლა ინტოქსიკაციასთან და ჰემორაგიულ სინდრომთან. გამოიყენება ანტიბიოტიკური საშუალებები, კორტიკოსტეროიდები. ბაქტერიული ფლორით გართულების შემთხვევაში - ანტიბიოტიკები.

### პრევენცია

- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას და დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტისას, პირადი პროფილაქტიკის დაცვა (სვეცანსაცმელი, ხელთათმანები)
- მედიცინის სფეროს მუშაკების მიერ საავადმყოფოსშიგა რეჟიმის დაცვა
- ვეტერინარული ლონისძიებების გატარება შინაური ცხოველების მიმართ (იზრუნეთ ავადმყოფი ცხოველის იზოლაციასა და მკურნალობაზე)
- ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლა
- ვაქცინაცია ტარდება ეპიდემიების მიხედვით, თუმცა უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინა ადამიანთა ფართო ვაქცინაციისათვის, ჯერ-ჯერობით შექმნილი არ არის.



მონატრება

ნუგზარ და პელურა მარაბლიშვილები




გვენატრებით, ჩვენო ძვირფასო ადამიანებო. უთქვენოდ ჩემი სიცოცხლე არარაობა და აზრს მოკლებულია. ვინ თქვა, რომ დრო მკურნალიაო, ეს ლიტონი სიტყვები ყოფილა ყველა შვილმკვდარი დედისთვის. რაც დრო გადის, უფრო მეტად გტკივა გული ყველა დედას, რადგან თქვენგან მიყენებული ძროხობები არ შუშდება და არც არასოდეს გამრთელდება. 27 მაისს ექვსი წელი გახდება, რაც დედას შენი სახე აღარ უნახავს, ჩემო უსაყვარლესო შვილო, ნუგზარ. მამაშენი ხომ შენთანაა. ორი წელი

გახდება უკვე, რაც ჩემმა მეუღლემ დამტოვა და შენთან ყოფნა არჩია. ის იყო ჩემი ნუგზარისმცემელი და დიდი იმედი შენს შემდეგ. ვფიცავ თქვენს კეთილ სულებს, ყოველ დღე-ღამე თქვენზე ფიქრში ვათენ-ვალამებ, მაგრამ ადამიანს რასაც ღმერთი მიარგენს, იმას ვერსად დაემალება-ამიტომაც ალბათ გამძლეობასაც მაძლევს, რომ თქვენ დიდხანს მოგაქციოთ ყურადღება, თქვენს საფლავებს მოვუარო და სიყვარულის და მონატრების ცრემლები თქვენს გულზე დაყრილ მინას დავაპკურო. მოგტირით ყველანი, დიდიც და პატარაც. 3 წლის სოფიო ხშირად ამბობს: სანყალი ნუგო ძია და ბედურა პაპაო-ის ხომ სულ არ გიცნობდა, ნუგო, მაგრამ ოჯახში ხშირი საუბრიდან გამომდინარე, მანაც იცის თქვენს შესახებ. ნათქვამია, ის დედ-მამა არა კვდება, ვისაც კარგი შვილი რჩებაო. შენც არასდროს დაგივიწყებენ შენი ვაჟკაცები. შენი სიყვარული ჩემზე

გადმოიტანეს და შორიდან ტელეფონის მეშვეობით მეფერებიან. წელსაც შენი დაბადების დღეზე ჩამოვლენ რუსეთიდან და სანთლებს აანთებენ შენს საფლავზე. ჩვენ ყველანი თქვენს საფლავებს ვეფერებით და ასე ვცდილობთ თქვენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილის დაფარვას. ღმერთი ფარავდეს თქვენს სულებს ყოველთვის.

ციციმო გონაშვილი, ნანა და ბაჟან მარაბლიშვილები ოჯახებით.



ძითვან გურასაულ-გორალაშვილი დედას

გაზაფხული მოვიდა, აყვავდნენ ყვავილები, მინის გული გათბა, გამოვიდა ზამთრის ძილიდან, ხეებმა კვირტები გამოიტანეს, ვაზმა სიხარულის ცრემლები გადმოაფრქვია: — გაზაფხულდაო! მოფრინდა ჩვენი კუდმაკრატელაც, მერცხლების მოსვლას ხომ ყოველთვის სიხარულით ვხვდებოდით მთელი ოჯახი. დილით ელექტროდენის მავთულებზე ჩამსკრივებული მერცხლების ჭიკჭიკით ინყებოდა ყოველი ახალი დღე, ვიდრე ცისკარი პირს გახსნიდა, მერცხლები თავისი ტკბილი ჭიკჭიკით ხედებოდნენ დილას, მზის ამოსვლას, სიცოცხლეს ხალისსა და სილამაზეს მატებდნენ. დღესაც მოფრინდნენ მერცხლები, მოვიდა გაზაფხულიც, ისევ თენდება დილა, ისევ ამოდის მზე, ყველაფერი ისევ ისე არის, როგორც ოთხი წლის წინ იყო, განსხვავება ის არის, რომ ამ ყველაფერს, უფროსობის ლეგა ღრუბელი ეფარება, დედა, ყოველდღე უფრო და უფრო მეტად, მაკლიხარ, მენატრები უფრო ძალიან, რაც დრო გადის; სიკვდილი და სიცოცხლე მძები არიან, რა ვქნა, რომ წინ ვერ დავუდექი სიკვდილს, ვერაფერი გიმევე, ვერ ნავართვი შენი თავი, პირიქით — მან წამართვა შენი თავი, გამთენიისას, ვიდრე მზე თავის სხივებს მოჰფენდა ქვეყნიერებას, მოვიდა თავისი ეტლით და ნაგიყვანა, ნაგიყვანა იმ დიდ და შეუცნობელ გზაზე, რომელსაც უკან დასაბრუნებელი არა აქვს, არავინ აღარ ბრუნდება უკან, მიდიან და მხოლოდ სიზმრებში გვესტუმრებიან, ისიც ხანდახან, მარტო სიზმრებში ვხედავთ ძვირფას და საყვარელ სახეებს, ნამიერად და მერე ყველაფერი ისევ ძველი

გზით მიდის, ცხოვრება და სევდით სავსე გული, ცრემლიანი თვალები და ფიქრი, ფიქრი, რომელიც არასოდეს არ გეტოვებს მარტოს. გავიდა ოთხი წელი, ჩემთვის კი ყველაფერი ისევ იქ, იმ დღეებში არის გაყინული დრო, ისევ ისე მტკივა გული, ისევ ისე მიტირიან თვალები, არ შემოძლია შენი გახსენება და შენზე ლაპარაკი ცრემლების გარეშე, მომენტურად, მაკლიხარ, ყველგან გეძებ, ხშირად ვფიქრობ და ვერეკავ სახლში და დედას დაველოპარაკებთ მეთქი, მერე უცებ მახსენდება, რომ აღარ მყავხარ, დედიკო, ყოველთვის გესაუბრები და გიყვები ჩემს ტკივილებზე, შენ ხომ ჩემი თბილი და საიმედო ნავსაყუდარი იყავი, შენ სხვა იმედს მაძლევდი ცხოვრებაში, სხვა ხალისი და სიხარულით მევესებოდა გული, როცა შენ გელაპარაკებოდი, როცა შენს გვერდით ვიყავი, შენ სხვანაირად ალამაზებდი ჩემს ცხოვრებას, დედა! ახლა მარტოს აღარაფერი მახარებს, ყველაფერმა აზრი დაკარგა. აღარც ცხოვრების სილამაზე მხიბლავს და აღარც ძალიან შემიყვება რომ ვიბრძობოდ, მხრები მომტეხე დედა, აღარც ცისკარი მაღალეებს და აღარც ლამაზი, მთვარიანი ღამეები, შენ ის საყრდენი იყავი, რომელსაც ენდობოდი მთელი არსებით! მენატრები, მაკლიხარ, მიყვარხარ უზომოდ, ნათელი იყავი, ჩემო ტკბილო და ძვირფასო დედიკო, შენს მეუღლესთან ერთად, შენს პატარასთან ერთად, შენს და მძებთან, დისშვილებთან და შენს მშობლებთან ერთად, მარადიული იყოს თქვენი ხსოვნა, ნათელი გეფინით სამუდამოდ, ჩაუქრობელი სანთელ-სარკმელი გინათებდეს სასუფეველს, განისვენე მარადისობით! ამინ!

ლოლო გორალაშვილი, საბერძნეთი, ათენი.

ნინო ნადირაძე



„ფანჯარა გამოვადე, მზე უკვე ჩაიღოდა, ცხოვრებას ერთი დღე აკლდე-ბოდა, ვინ იცის იქნებ ბოლო დღე დამდებოდა, ჩემი სიცოცხლე თავდებოდა.“

იქნებ ესეც იყო, ჩემო ნინო. 22 წელი გავიდა, რაც უფალმა გაგარიდა ამ ნუთისოფელს და გულში ჩაგიკრა. 22 წელი დიდი დროა, შვილო, სიზმარში მაინც მოდი დედ-მამასთან, ჩემო სიცოცხლე. იქნებ სიზმარში მაინც შევიგრძნო შენი სითბო, შენი სუნთქვა, გავიგონო შენი ხმა. როდესაც შენი გარდაცვალება მაცნობეს, ამ დროს მამაც მოკვდა შვილო. მას შემდეგ შენთან მოსვლას სულმოუთმენლად ველო, ჩემო ნინო. „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემინყალე მე ცოდვილი.“ სწორედაც რომ ცოდვილი ვარ, შვილო და მადლობელი ვარ უფლისა, რომ ამას ვხედები და ვაცნობიერებ. დიდი იმედი მაქვს უფალო, რომ ჩემს შვილს შევხვდები და სამარადუბოდ ერთად ვიქნებით. უფალო მაძლიერებს და მაძლებინებს ამხელა ტკივილს, მთელი გულით ვცოცხლობ შენთვის. მჯერა, რომ ცათა სასუფეველში ხარ. ვეცდები მწარე ცრემლებით შენი წმინდა სული არ დავამძიმო. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადისობაში. მსუბუქი იყოს შენთვის ეს მინა, რომელიც დედის მაგივრად ჩაგიკრავს გულში. შენზე მტირალი მამა ბურამ ნადირაძე.



სესილი ზედგინიძე

სესილი ზედგინიძე წარსულში უნდა ვილაპარაკოთ დღეიდან. ძალიან გვიჭირს... სოფელ ნითელნარის (ამჟამად სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა) რუსულ საშუალო სკოლაში შეიყვანეს მშობლებმა და მას შემდეგ არ დაუტოვებია მისი კედლები. მოსწავლეობით დაინყო და მასწავლებლობით დაამთავრა. გაკვეთილზე ხმას არ აუწევდა, მოსწავლეს არ დაუფერებდა, გაკვეთილიდან არ გამოავდებდა, მათთვის მასწავლებელიც იყო და მეგობარიც. სესო, ნეტავ რანდენი მოსწავლე გამოზარდე ამ ხნის მანძილზე?! 65 წელი ერთი გზით იარა ვერ

მოსწავლემ, შემდეგ-მასწავლებელმა. იყო დაუზარელი, უწყინარი, ოჯახის მოყვარული. იყო სანაქებო შვილი, ერთგული მეუღლე, კარგი დედა, საუკეთესო ბებია, მეგობარი, მეზობელი. ახლა როგორც თანამშრომელი-რამდენჯერ დაუთმია კოლეგისთვის საათები, ან უანგაროდ ჩაუტარებია გაკვეთილები. ამ ყველაფერს იმიტომ კი არ ვწერთ, რომ მიცვალებულზე მხოლოდ კარგი უნდა ვთქვათ, არა - ჩვენი სესო მართლა ასეთი იყო და პირნათლადაც წავიხსენებ. რომ არა უკურნებელი სენი, ის კვლავაც აქტიურად გააგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, რადგანაც სკოლით ცხოვრობდა და სუნთქავდა. გემშვიდობებით კოლეგავ და უწყინარო მეგობარო. დაე, ნათელში იყოს შენი სული. სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგი მკვირი.

ხარხელი კოპიაშვილი

ძვირფასო ძმაო, ყველასთვის უწყინარო, მოქეიფე, უბოროტო, კეთილო, გამორჩეული იუმორის უნარის მქონე, კარგო მძლოლო, 40 წელზე მეტი მართავდი საჭეს უშეცდომოდ. ხუთი ტკივილიანი წელი გავიდა, რაც ერთად აღარ გვისაუბრია. გაზაფხულმა, მარტის და აპრილის თვემ ნავართუთა საყვარელი დედა, შენი თავი, სიძეები: ვალიკო ბუჩუკური და გურამი ლობჯანიზე. სიხარულით, აღფრთოვანებით ვისხენებთ შენს განვლილ წლებს, სიცოცხლის ბოლო ორ წელს კი გულისტკივილით. ძალიან გვენატრები, კაცურად იცხოვრე და დაგვიტოვე დაუვინყარი მოგონებები. დაიმკვიდრე სამუდამო განსასვენებელი ადგილი. ნათელი დაადგეს შენს ლამაზ, უკვდავ სულს. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მინა. დეპი ნუნუ და ბულუ.

გურამ ლოჯანიძე

გურამი - საქართველოს დამსახურებული მეტყევე. 1960 წლიდან მუშაობდა სატყეო მეურნეობაში დელოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის 30 წელი მთავარ მეტყევედ. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის იყავი დაჯილდოებული სამკერდე ნიშნით. გქონდა საუკეთესო ჩანაფიქრები, რომელიც ვერ განახორციელებ. შრომისმოყვარე და ალალი გულის პატრონს ჯანმრთელობამ გიმტყუნა. ორგანიზმში შემოგეჭრა განუკურნებელი სენი. შვიდი ტკივილიანი წელი გავიდა, რაც დაგტოვე. შენმა წასვლამ ყველას გული გვატკინა. კიდევ დიდი შე-

შენი ოჯახი



გიორგი თეთვაძე

გიორგი, ჩემო ძვირფასო დეიდაშვილო, მომიტევე, თუ აქამდე შენზე ხსოვნის წერილი არ დამიწერია, მაგრამ რამდენი წელიც გინდა გავიდეს, შენ დიდ ტკივილად ყოველთვის ჩემს გულში დარჩები. დღესაც ცოცხლობ და არსებობ, რადგან შენ ჩემი გულის დიდი შემადგენელი ნაწილი ხარ. დაგვაკლდი დიდ სანათესაოს, ერთი მართალი და ალალი კაცი. ჩვენს საბიძაშვილოს გამოაკლდი მოულოდნელად, შენს ასეთ განაჩენს ვერ არ ველოდი. ცხოვრობდი მარტო შენით შექმნილ სამყაროში მარტოდ. სანამ დეიდა-ეღიკო და რომანი ძია ცოცხლობდნენ, სულ გეხვეწებოდნენ ოჯახი შეგეკეცნა და გამრავლებულიყავი, თუმცა

ყოფნა არჩიე. მზე და მთვარე შენს ძისშვილებზე — გვანცა, ბექა, ქეთი, მარიზე ამოგდიოდა, შენი საყვარელი რძლები: მარი და ხათუნა საკუთარ დეზად მიიღე. შენი ძმები თენგო და ვაჟა შენს სიკვდილს მწარედ განიცდიდნენ. ყველა მიგვატოვე. და დაამწუხრე თეთვაძეების დიდი გვარი. პირად საუბარში ბევრჯერ გითქვამს ჩემთვის, ეს, დეიდაშვილო, მალე მოვკვდებიო, ეს ტკივილგარეული სიტყვები ახლა ორმაგად მიკლავს გულს. როცა დედა დაგელუპა, 1 წლის და 2 თვის დარჩი, ალბათ შენზე ყოფილა ნათქვამი „ობლის კვერი არ გამოცხვავო“. გიორგი, ჩვენ ყოველთვის გვახსოვხარ. მოვალთ შენს საფლავთან, აგინთებთ წმინდა სანთლებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. გიორგი ლოჯანიძე მთელი სანათესაოს სახელით

წელი ქენქაძის დეიდები: ფატი და ლუიზა ზურაშვილები სამიძმარს უცხადებენ ეთო ტუსაშვილს, გელა და მანანა ნაროზაულეებს ზაზუნა ნაროზაულის გარდაცვალების გამო.

# „მოძრავი ფილარმონია“ – დედოფლისწყაროში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით პროექტ „მოძრავი ფილარმონია“-ს ფარგლებში რეგიონებში კონცერტების ციკლი დაიწყო. ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე 10 მაისს ღამის ქვეშ კონცერტი გაიმართა, სადაც ქართული ესტრადის ცნობილი სახეები მონაწილეობდნენ.



საკუთრებით დიდი პატივია აქ სტუმრობა, რადგან ეს ჩემი ქალაქია. როგორც დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე, ვთვლი, რომ მე ჩემს საკუთარ ქალაქში ვარ, დანარჩენი ბიჭები კი სტუმრად არიან. უაღრესად ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ მე შემეძლია ჩვენი ხალხის წინაშე წარვსდგეთ. დედოფლისწყაროს, ხორნაბუჯის სხვაგვარად ჩამოსვლა არ ეკადრება, შეიძლება ჩამოვიდე და აქ ვიცხოვრო კიდევ... ამაში არაფერია გასაკვირი, ველოდები, ვენახს როდის მომცემენ, რომ დავამუშაო და შემოსავალი მქონდეს. (იციან) ყველას გეფერებით დიდი სიყვარულით და პატივისცემით.

მაყურებლის წინაშე რამდენიმე ნომრით წარსდგნენ თემურ ნიკლაური, ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი, ტატიო გოდერძიშვილი, ხვინა მალაქელიძე, ბესო ბერულაშვილი და ზურაბ ვადაჭკორია.

ლონისძიებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მელქისედეკ ხაჩიძე ესწრებოდნენ.

როგორც თემურ ნიკლაურმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, გასული წლის აგვისტოდან ის დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ და დასახელებული, რის გამოც აქ ჩამოსვლა მისთვის კიდევ უფრო სასიამოვნოა.

**თემურ ნიკლაური:** „დედოფლისწყარო კახეთში პირველი ქალაქია, სადაც მოსახლეობას ვემსახურებით. ჩემთვის გან-

ძლია ჩვენი ხალხის წინაშე წარვსდგეთ. დედოფლისწყაროს, ხორნაბუჯის სხვაგვარად ჩამოსვლა არ ეკადრება, შეიძლება ჩამოვიდე და აქ ვიცხოვრო კიდევ... ამაში არაფერია გასაკვირი, ველოდები, ვენახს როდის მომცემენ, რომ დავამუშაო და შემოსავალი მქონდეს. (იციან) ყველას გეფერებით დიდი სიყვარულით და პატივისცემით.“

კომენტარი გააკეთა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმაც. გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, რეგიონებში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ამიტომ ის „მოძრავი ფილარმონიის“ პროექტს მიესალმება.

„ამგვარი კონცერტები კახეთის ყველა რაიონში ჩატარდება და მე ამაყი ვარ, რომ ვინც

აქ მონაწილეობენ, სწორედ იმ თაობას წარმოადგენენ, რომლებიც თითქმის ყველას უყვარს. მათ სიმღერებზე ვიზრდებით ჩვენც და კარგია, რომ ამდენი ხალხი მოვიდა და დიდი სახალხო ლონისძიება გამოგვივიდა. ზოგადად იდეა, რომ სამინისტროს „მოძრავი ფილარმონია“ აემოქმედებინა, მე როგორც მთავრობის წარმომადგენელი, მხარს ვუჭერ, რადგან ვთვლი, რომ რეგიონებში მაქსიმალურად უნდა გააქტიურდეს და რაც შეიძლება მეტი კულტურული ღონისძიება ტარდებოდეს.“ - აღნიშნა ირაკლი შიოლაშვილმა.



## მადლიერება

ამასწინათ, დღით გავიღვიძე და თითქოს ჩემს ირგვლივ ყველაფერი შეცვლილი იყო. არაფერი არ მესმოდა, ორივე ყურიდან, სმენა დამაკლდა. ჩემმა შვილებმა სასწრაფოდ წამოიყვანეს სხვა რაიონში, დავინყე მკურნალობა, მაგრამ ეს ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა. განა ტყუილად კი არ არის ნათქვამი, მინაური მღვდელს შენდობა არა აქვსო. შემდეგ მივაკითხე ჩვენი პოლიკლინიკის ყელ-ყურის ექიმ ქალბატონ ნინო ბეგიაშვილს. ნინომ დამიწყო მკურნალობა და ხუთ დღეში ვიგრძენი შედეგი, მეორე ვიზიტზე კიდევ დამინიშნა

მკურნალობა და ათდღიანი მკურნალობის შემდეგ სრულად აღმიდგა სმენა. მიინდა პრესის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნინოს ასეთი გულისხმიერი და ყურადღებიანი მკურნალობისთვის. ერთს კიდევ დავამატებდი, რომ ადგილზე პროცედურების გაკეთებაში მას ეკუთვნოდა თანხა, მაგრამ არ გამომართვა. მადლობა ნინოს მშობლებს, ნორა და ვასიკო ბეგიაშვილებს, ასეთი კარგი, მადლიანი და კეთილშობილი შვილის გაზრდისათვის. კიდევ და კიდევ დიდი მადლობა ექიმ ნინო ბეგიაშვილს. ღმერთი იყოს, შენი ოჯახის მფარველი ყოველთვის.

ციცილო მონაშვილი

**ულოცავენ!**  
**წონა და პაპა გილიაშვილებს!**  
გულწრფელად გვიხარია თქვენი შვილების - ლევა-ნის და ღარიპაშის ქორწინება. გაიხარონ, იყვნენ ბედნიერები და გამრავლდნენ ჩვენი გვარის გასაძლიერებლად. ღმერთი გფარავდეთ ყველას. წლისთავზე ბებია-პაპობაც მოგველოცოს თქვენთვის.

სიყვარულით,  
ნათელა გილიაშვილის ოჯახი

## ყველაზე საზრიანი და მხიარული - მეორე სკოლა



ყოფის გადამწყვეტილებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველაზე საზრიანი და ყველაზე მხიარულ გუნდის სიგელი „პანაცეა“ გადაეცა; მე-2 ადგილი „ფშაგლებმა“ დაიკავეს, ხოლო მესამე ადგილი „არბოს“ ხედა წილად. გუნდებს საჩუქრად წიგნები და სატეხი გადასცეს.

ასევე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანაშვილის გადამწყვეტილებით სამივე გუნდი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში ექსკურსიაზე გაემგზავრება.

18 მაისს, ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, მუნიციპალიტეტის გამგებოს კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახლაგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით მან-სან-კანის ფინალური თამაში გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს სოფელ არბოშის გუნდმა „არბომ“, ქვემო ქედის გუნდმა „ფშაგლებმა“ და ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის გუნდმა „პანაცეამ“.



**სამკურნალო განაჯანსაღებელი მასაჟის კაბინები**  
გინვეთ განაჯანსაღებელ პროცედურებზე. აქ შეგიძლიათ ჩაიტაროთ მკურნალობა ოსტეოქონდროზზე, ინსულტის შემდგომი სარეაბილიტაციო მასაჟი, ასევე, საბავშვო, თაფლის, ანტიციკლოლიტური, ვაკუუმური, ნონის კორექციისა და გამაანალგაზრდავებელი მასაჟები. ასევე შეგიძლიათ ყურის გახვრეტა უმტკივნეულოდ, პისტოლეტით.

ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №55 ან დაგვირეკეთ ტელ: 593 13 40 56



**WINDOWS-ის გადაყენება 6 თვითნა გარანტიით და სრული პროგრამული პაკეტით**

XP VISTA 7 8

558-262-464

ამინდი		დედოფლისწყარო	
ორშაბათი 26.05	სამშაბათი 27.05	ოთხშაბათი 28.05	ხუთშაბათი 29.05
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
20°	17°	20°	18°
21°	17°	20°	17°
20°	19°	20°	17°
20°	19°	21°	16°

გამომცემელი შპს „შირაპი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრისიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ულა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გილიაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწვეფი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ პაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფრონისძის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.